საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 18 დეკემბერი, 2013 წელი.

№244 (7372)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გამოთხოვება

მბორგალმა სულმა მთაწმინდაზე დაივანა

გუშინ მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მშობლიურ მიწას მიაბარეს დიდი ქართველი მწერალი **ჭაბუა ამირეჯიბი,** რომლის შემოქმედება მარტო მშობელი ერის კი არა, მსოფლიო ლიტერატურის საგანძურია, რადგანაც მისი ლიტერატურული გმირები ჭეშმარიტად ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისანი არიან.

ბატონი ჭაბუა მარტო მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატი კი არა, გულანთებული პატრიოტი, დიდებული პიროვნება და მისაბაძი მოქალაქეც გახლდათ.

ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის საამაყო შვილს. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა!

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ვინ მამალია და ვინ – დედალი...

ანუ სივრცე, სადაც ჩვენი შვილები თავად კი არ აირჩევენ სქესს, არამედ...

5

სააკაშვილსა და მის ბიძას ფოთის პორტი თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ

6

ქართველები, რომლებიც დაზარალდნენ წინა რეჟიმისგან, გაწბილებული არიან სამართლიანობის აღდგენის ტემპით

8

გუბერნატორებო, სწორდით! გუბერნატორებო, სმენა!

11

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ბიუჯეტი

არ სრულდება, მაგრამ მაინც იზრდება

2014 წლის ბიუჯეტი, რომელიც პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, მიმდინარე წლის ბიუჯეტს დაახლოებით 300 მილიონი ლარით აღემატება. ეს მაშინ, როდესაც 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილს დაახლოებით 700 მილიონი ლარი დააკლდა. მიუხედავად ამისა, მთავრობა მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა სახელფასო თანხების გაზრდაც კი გადაწყვიტა.

2014 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების 137 მილიონი ლარით გაზრდასთან ერთად გათვალისწინებულია ბიუროკრატთა რაოდენობის მატებაც. ასევე იზრდება თითქმის ყველა სამინისტროს დაფინანსება და ადგილობრივი ორგანოების ტრანსფერები, გარდა თბილისის თვითმმართველობისა. მთავრობა გაზრდილი ბიუჯეტის შესრულებას მშპ-ის 5-პროცენტიანი ზრდის პროგნოზის საფუძველზე და, ჯამურად, ერთ-ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი ვალის აღების ხარჯზე აპირებს. ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, ახალი ვალის აღება წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული ვალდებულებების გასასტუმრებლად სჭირდება:

„მიმდინარე და მომავალ წელს მილიარდი დოლარი ვალი გვაქვს გადასახდელი საქართველოს მთავრობას. ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს ვალი სხვა შემოსავლებიდან გადავიხადოთ“.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ წარმომადგენლის ირინა გურულის აზრით, ვალის აღება საგანგაშო არ არის, თუ ის ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება:

„თუ ეს მიიმართება სოციალური დანახარჯების დასაფინანსებლად, რა თქმა უნდა, უარყოფითია. მიგვაჩნია, რომ საგადასახადო შემოსავლებით უნდა ხდებოდეს სოციალური ვალდებულებების დაფინანსება და არა ვალით. თუ ეს მიიმართება გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად და ეკონომიკის სტიმულირებისთვის, როგორც სახელმწიფოს ფისკალური ინსტრუმენტი, მაშინ ეს მისასალმებელია“.

საპარლამენტო ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობა“ ვარაუდობს, რომ მთავრობა ნასესხები თანხით სოციალური ვალდებულებების გასტუმრებას შეუდგება. სწორედ ამიტომ, ყოფილი მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ვაშაძე** მომავალი წლის ბიუჯეტს აკრიტიკებს:

„სახელმწიფო იღებს მაღალპროცენტიან შიდა ვალს და, ჯამურად, იღებს მილიარდ 600 მილიონ ვალს, რომ დააფინანსოს ვალდებულებები, რომლებიც არ არის ეკონომიკურ ზრდაზე მიმართული, არამედ არის, მაგალითისთვის, ბიუროკრატიის ხელფასების ზრდაზე მიმართული“.

2013 წელს იყო პოლიტიკური გაურკვევლობის წელი, თუმცა, 2014 წელსაც ბიზნესისთვის და ინვესტორებისთვის შეიძლება არ იყოს ნათელი, თუ საით მიდის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენი რეკომენდაცია იქნება, უფრო მკვეთრი სიგნალები გამოუშვას სახელმწიფომ... **ირინა გურული.**

ეს განცხადება საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზის გარეთ გააკეთა, რადგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“, პროტესტის ნიშნად, ჯერ კიდევ ბიუჯეტის განხილვის დაწყებამდე დატოვა პარლამენტის სესია. ამ ნაბიჯის მიზეზი კი ის ინციდენტი გახდა, რომელიც უმრავლესობის წარმომადგენლის სოსო ჯაჭვლიანის მიერ სხვა თემაზე გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა შედეგად.

საპარლამენტო უმცირესობის გარეშე ჩატარებულ სხდომაზე 2014 წლის ბიუჯეტი ცხარე კამათის გარეშე დამტკიცდა. მას ხმა მისცა 86-მა დეპუტატმა. მათ შორის იყო სოსო ჯაჭვლიანიც, რომელმაც ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში შემდეგნაირად განმარტა მომავალი წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები:

„მთავარი არის, რა თქმა უნდა, სოციალური საკითხები, მთავარი არის დაზღვევა და უამრავი რაღაცა. ყველაფერი პრიორიტეტულია, საერთოდ. მაგრამ ძირითადად მაინც ადამიანებზე არის ორიენტირებული“.

სოციალური საკითხების პრიორიტეტულობაზე ისაუბრა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმაც:

„ბიუჯეტი, როგორც აღინიშნა, არის ორიენტირებული იმ პრობლემების გადაწყვეტაზე, რომელთა წინაშეც საქართველოა. ეს პრიორიტეტებია: ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, სოფლის მეურნეობა. გარდა ამისა, ბიუჯეტი გაგრძელებს სერიოზულ ინვესტირებას საქართველოს ინფრასტრუქტურაში“.

ფინანსთა მინისტრის ამგვარი განცხადების ნაკლებად სჯერა საპარლამენტო ოპოზიციას. ჯერ კიდევ სამიოდე კვირის წინათ, საქართველოს ახალი მთავრობის დამტკიცებისას, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ, იმ პრობლემებზე ისაუბრა, რომლებიც მთავრობის ოპტიმიზმის არარეალურობაზე მეტყველებს:

„ჩვენ არ დაგიჭერთ მხარს რამდენიმე მიზეზის გამო, ერთი, იმიტომ რომ ამ დროისთვის სამჯერ არის შემცირებული საქართველოს ეკონომიკის ზრდა, ერთ მილიარდამდე გაქვთ დაახლოებით გარღვეული ბიუჯეტი. მომავალი წლის ბიუჯეტი გექნებათ 100 პროცენტით გარღვეული. ახლაც გარანტიას გაძლევთ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი გაგერღვევათ“.

მომავალ წელს ბიუჯეტის შესრულების მთავარ საფრთხედ ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპი სახელდება, რაც 2013 წლის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა. სწორედ ამიტომ მთავრობას ცხადი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას ურჩევენ ეკონომიკის ექსპერტები, მათ შორის, ირინა გურული:

„2013 წელს იყო პოლიტიკური გაურკვევლობის წელი, თუმცა, 2014 წელსაც ბიზნესისთვის და ინვესტორებისთვის არ იყოს ნათელი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, თუ საით მიდის ის. ჩვენი რეკომენდაცია იქნება, უფრო მკვეთრი სიგნალები გამოუშვას სახელმწიფომ, თუ რას გეგმავს საგადასახდო თუ რეგულაციების კუთხით“.

მთავრობას ცხადი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებენ სხვა ეკონომისტებიც. მათი ნაწილი ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტას საბიუჯეტო ხარჯების შემცირებასა და ეკონომიკის შემდგომ ლიბერალიზაციაში ხედავს.

კახა მჭედლიძე

◎ ინფორმაცია

შაჰ-დენიზის 400-700-მილიონიანი ინვესტიცია

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, შაჰ-დენიზის მე-2 ფაზის ფარგლებში საქართველოში 400-700 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიციები ჩაიდება.

ამის შესახებ კახა კალაძემ აზერბაიჯანში ვიზიტისას განაცხადა.

მინისტრის თქმით, მშენებლობის პიკის პერიოდში ქვეყანაში დაახლოებით 2000, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში დაახლოებით 130 ახალი მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

გარდა ამისა, მილსადენის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ჩვენ მივიღებთ დამატებით ბუნებრივ აირს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ვიცე-პრემიერები კახა კალაძე და გიორგი კვირიკაშვილი.

„შაჰ-დენიზის“ ნავთობსადენის მე-2 ფაზის პროექტის განვითარების ფარგლებში, მიმდინარე წელს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ბუნებრივი აირის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები გაფორმდა.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება, რათა მოხდეს თურქეთის მიმართულებით წლიურად, დამატებით 16 მლრდ კუბური მეტრი გაზის მიწოდება.

არსებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს შეუძლია ტრანზიტით გატარებული გაზის 5% შეღავათიან ფასად შეისყიდოს, რაც გაზსადენის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში წელიწადში დამატებით მილიარდ კუბურ მეტრ გაზზე მეტს შეადგენს.

ინტერპრესი

◎ სოფელი

სტიქია და აგრარული სექტორი საქართველოში

ციტრუსის მოსავლის დაბინავება, რაც მჭიდროდ უკავშირდება სტიქიის ბოლოდროინდელ შემოტევას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალია. რას პპირდება სახელმწიფო ფერმერებს და ზოგადად როგორ ფასდება ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები სოფლის მეურნეობის სექტორში?

აჭარისა და გურიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც იმედებს ციტრუსის ბარაქიან მოსავალზე ამყარებდა, გარკვეულწილად, გაწბილებულია. ჯერ ერთი, მოსავლის საკმაოდ დიდ ნაწილს ყინვამ და თოვლმა დაუკრეფავს მოუსწრო და გაატეხა, მეორე, სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების მიუხედავად, ადგილობრივ მოსახლეობას მაინც არ აკმაყოფილებს ფასები, რაც, მანდარინის შემთხვევაში, საშუალოდ 40 თეთრია... არავის საყვედურობს, მაგრამ როგორც ქობულეთელი მერაბ ოქროპირიძე ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, დაქირავებული დამხმარე ძალის ხარჯის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან შემოსავალზე ლაპარაკი, უბრალოდ, შეუძლებელია:

„სასწაული მოსავალი იყო წელს. როცა კაცი 10 ტონას კრეფდა, წელს 20 ტონა მოკრიფა. ამის რეალიზაცია მთლიანად რომ ვერ მოხდებოდა, ეს ვიცოდი მე, მაგრამ ფასი დაბალია — 10 ტონა 4 ათასი ლარი. ამ ათი ტონის შემოსავლიდან 2 ათას ლარს იხდის მოკრეფაში და შემოტანაში, რადგანაც ოჯახი თვითონ ვერ ახერხებს ამას. მაგრამ ეს ყველა თუ გავა, რაცაა ხალხში, მაგაშია საქმე“.

ციტრუსის ჩაბარების პროცესი გრძელდება, კვლავ გაგრძელდება და ამ მიზნით 36 პავილიონი მუშაობს, — განაცხადა 16 დეკემბერს სოფლის მეურნეობის მინისტრმა **შალვა ფიფიამ.** თუმცა, უამინდობით გამოწვეულმა ძლიერმა შტორმმა, მისი თქმით, ციტრუსის ექსპორტირების პროცესი შეაფერხა, რადგანაც წყლის ტრანსპორტმა ნაპირამდე ხუთი დღის განმავლობაში ვერ მიაღწია:

„პარასკევს შემოვიდა პირველი ბორანი, რომელზეც დაიტვირთა დაახლოებით 2 ათასი ტონა. გუშინწინ მე თვითონ დავესწარი მეორე ბორნის შემოსვლას, რომელზეც დაახლოებით იგივე რაოდენობა დაიტვირთა და ის გავიდა. დღეის მდგომარეობით, არის დაახლოებით 23 ათასი ტონა ექსპორტირებული, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია, რაც იყო შარშან ამ დროს. წელს მოხდა უპრეცედენტო გადაწყვეტილების მიღება და 13 მილიონ 800 ათასი ლარით მოხდება სუბსიდირება როგორც სტანდარტული, ასევე არასტანდარტული ციტრუსის“.

ამასთან, სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 710 ათასზე მეტმა ოჯახმა ისარგებლა და მიიღო პირდაპირი დახმარება, ხოლო შეღავათიანი აგროსესხის პროგრამის ფარგლებში, 8 ათასზე მეტმა ადამიანმა შეძლო 221 მილიონი ლარის პორტფელი მიეღო. შალვა ფიფია ასევე დიდ წარმატებად მიიჩნევს იმას, რომ დღეისათვის **„გასამმაგებულია იმ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა, რომელსაც მიეწოდება სარწყავი წყალი“.**

ციტრუსის რთვლის შედეგების შეფასება ჯერ ნაადრევია, — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე, რომელიც საქართველოს აგრარული სექტორის უმთავრეს წარმატებად ყურძნის რთველს ასახელებს:

„აქ რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი: საკმაოდ კარგი სქემა იქნა შეთავაზებული ფერმერებისთვის იაფი აგროსესხის პროგრამის ფარგლებში; რუსული ბაზრის გახსნამ გაზარდა მოთხოვნა ყურძენზე; მოსავალიც საკმაოდ მაღალი იყო და დაახლოებით 100-მილიონიანი მოცულობის შემოსავალი შევიდა კახეთში“.

შეღავათიანი აგროსესხების პროგრამას, რომლითაც, მართალია, დამწყებმა ფერმერებმა ვერ ისარგებლეს, **ირაკლი ლექვინაძე** მაინც წარმატებულად მიიჩნევს, რადგანაც ამ პროგრამამ გააიაფა სესხი გარკვეული გამოცდილების მქონე კომპანიებისთვის. რაც შეეხება აგრარულ სფეროში გადადგმულ სხვა ნაბიჯებს, იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს არ ელოდება, მაგალითად, უფასო ხვნა-თესვის პროგრამიდან, რომელზეც, მისი თქმით, 700 მილიონი ლარი დაიხარჯა. თუმცა, ექსპერტი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს პროგრამა მნიშვნელოვანი იყო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის.

საერთო სურათის შეფასებისას, ირაკლი ლექვინაძე დიდ პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ საქართველოში წარმოებული აგრარული პროდუქცია შიდა მოთხოვნის მხოლოდ 8-12%-ს აკმაყოფილებს. ექსპერტი ჩვენთან საუბრისას ასეთი არასახარბიელო მაჩვენებლის მიზეზებსაც ჩამოთვლის:

„აუთვისებელი მიწებია ძალიან ბევრი რეგიონებში. არის ფინანსების დეფიციტიც— ინვესტიციების დეფიციტი. ინფრასტრუქტურაა არასაკმარისი და განათლების ხარისხია არასაკმარისი — ეს არის თავი და თავი“...

სხვა არაერთი ექსპერტის მსგავსად, ირაკლი ლექვინაძეც მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ყველაზე მეტი ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სფეროს სწორედ განათლების სეგმენტში უნდა ჩადოს, რადგანაც შესაბამისი ცოდნით აღჭურვილ ფერმერს, კარგი პროდუქციის შექმნის გარდა, შეუძლია პროდუქციის შეფუთვა და მის სარეალიზაციოდ ბაზრის ანალიზის გაკეთებაც. ამასთან, კარგად მომზადებული ფერმერები უფრო ადვილად აუღებენ ალღოს იმ საექსპორტო შესაძლებლობებს, რაც მათ მიეცემათ სამომავლოდ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შედეგად. თუმცა, ამისათვის აუცილებელი იქნება ფერმერთა ძალების გაერთიანება და ამიტომ, ექსპერტთა აზრით, მათ სახელმწიფომ გამსხვილების რეალური შესაძლებლობა უნდა მისცეს. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

ლელა კუნჭულია

ჯერ – სამართლიანობა, მერე – თვითმმართველობა!

ხელისუფლებამ, სამართლიანობის აღდგენის გასაჯანჯლებლად, მთელი წელიწადი „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის“ დაპირებით კვება ამომრჩეველი, მისი დანატოვარი გუნდი კი, ევროპის ნაცვლად, ქართველ საზოგადოებას აოცებს ცინიზმით. „იუსტიციის მინისტრ“ წულუკიანის (მოხელე, რომელიც თავის ფუნქციას არ ასრულებს, ნამდვილი არ არის) ლამაზი პირით, ხსენებული კომისია არც შეიქმნება: „კომისიის შექმნას არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ მთავრობას მიაჩნია, რომ ძალიან ფრთხილად არის გასათვლელი ის შედეგები, რაც, შესაძლოა, ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მივიღოთ. თუ ადამიანს გაამართლებ, მას გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, ამისთვის კი დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის. სწორედ ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩათვალა მთავრობამ, რომ ამ კომისიის შექმნა ამ ეტაპზე ნაადრევია“.

რომის სამართალს ნაზიარები ქალბატონის ლოგიკით, გამოდის, რომ უკანონო პატიმარი, თუ მას კომპენსაციას ვერ მისცემ, ციხეში უნდა იჯდეს! ამათზე უთქვამს ილიას: „ახლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქოს ღერძი გადაუბრუნდაო...“

მაგრამ დახეთ უკანონო პატიმრების თავგასულობას: „კომპენსაციას არ ვითხოვთ, ისე გაგვანთავისუფლეთო“ და – შიმშილობა გამოაცხადეს ციხეში!

სად არიან ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა, შიმშილობას აჩვენებდნენ მათ! მაინც როგორ აპირებს „მთავრობა“ (საკითხავია ისიც, ვინ არის დღეს მთავრობა?) უკანონო საზოგადოების ჭკუაზე მოყვანას?!

თავდაცვის მინისტრი ალასანია: „კონტრდაზვერვის სპეციალური სტრუქტურების“ შექმნაზე ფიქრობს, რომ საზოგადოებაში სამართლებრივი განწყობების კულტივაცია არ დაუშვას: **„საზოგადოების განწყობის შექმნაზე გადავა აქცენტი ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრიდან. ამიტომაც ასეთ საფრთხეებს ვხედავ, კონტრდაზვერვით საფრთხეებს, და, აქედან გამომდინარე, მთელი სახელმწიფო და სპეციალური სტრუქტურები იქნება მობილიზებული, რომ არ დაუშვას არც ერთ შემთხვევაში ასეთი განწყობების კულტივაცია“.**

საკვირველი ის იქნებოდა, რომ არ ეფიქრა: აბა, ამხელა „ხელფასებს“, შარაგზის ყაჩაღებს რომ არ დაესიზმრებათ, ჯიპებს, სასახლეებს (ვილებს უცხოეთში) და ათასგვარ პრივილეგიებს დაცვა არ სჭირდება?! სტალინი პოლიტბიუროს წევრებს მუშაზე მაღალი ხელფასის აღებას უკრძალავდაო. მაგრამ დღეს მუშები აღარ არსებობენ და ბიძინას, მათი „ხელფასებით“ რომ განესაზღვრა, თავის „მინისტრ-პარლამენტარებს“ საერთოდ უხელფასებოდ დატოვებდა. სააკაშვილის ნაძირლებს ორწელიწადნახევარი ხელფასებს მე ვუხდიდიო და – თავისი გამოზრდილებისთვისაც, ჯანდაბას, თვითონვე ეხადა და ხალხის ბიუჯეტი არ ეძარცვინებინა! თუმცა, არც ეგ იქნებოდა მართებული, რადგან ხელისუფალს, ხელისუფლება კი არა, ფული რყვნის. ამიტომ მთელი ეს ახალი სიმახინჯე ამ „ხელფასებიდან“, ანუ ბიძინასგან მოდის!

მაგრამ სანამ ბიძინას გამოზრდილები კონტრდაზვერვის სტრუქტურებს შექმნიან, პატიმართა უფლებების დამცველმა ნანა კაკაბაძემ კუდზე ფეხი დაადგა „მთავრობას“: 15 დეკემბერს, ყოფილი პარლამენტის წინ, ხელისუფლების მიერ სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამოაცხადა!

სამართლიანობის მოთხოვნაზე უარის თქმა არსს აცლის და კედელთან აყენებს ხელისუფლებას, რადგან სამართლიანობის დამკვიდრებაშია მისი არსი. ამიტომ ძვრება იგი ნემსის ყუნწში, რათა ისე ქნას, რომ ბოლომდე უარი არ თქვას მასზე: **„კომისიის შექმნას არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ... კომისიის შექმნა ამ ეტაპზე ნაადრევია“.** ამიტომ იგი ნაცნობ ხრიკს მიმართავს: სამართლიანობის საკითხიდან საზოგადოების ყურადღება „თვითმმართველობის“ საკითხზე გადააქვს. ის წინასწარ ითვლის, რომ საზოგადოება, სეპარატისტული საფრთხეების არსებობის გამო, არ მოიწონებს თვითმმართველობის იდეას და ჩასაფრებული ელოდება მის რეაქციას, რათა „რეტროგრადობა“ და „დემოკრატიული რეფორმისათვის“ ხელის შემლა დასწამოს.

კათოლიკოს-პატრიარქი სავსებით საფუძვლიან შიშს გამოთქვამს და აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ თვითმმართველობის კანონის მიღებამ, შესაძლოა, საქართველოს დაშლა გამოიწვიოს: **„ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლება დღეს განიხილავს და მსჯელობს თვითმმართველობის საკითხზე. ეს მეტად რთული საკითხია. თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისკენ“.**

„პარლამენტარი“ თამარ კორძაია შეხტა და შემოტრიალდა და წიოკი ატეხა: **„საპატრიარქო ზედმეტად ერევა სახელისუფლებო საქმიანობაში!“**

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ საბჭოს წევრ ზვიად ქორიძეს დაავიწყდა ეთიკა და ბანი მისცა კორძაიას: **„პატრიარქი ეწინააღმდეგება საქართველოს ევროპულ არჩევანს, საქართველოს პროგრესს“.**

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ იურისტმა ვახუშტი მენაბდემ და ყველა „არასამთავრობოელმა“, ნინო ლომჯარიათი დაწყებულმა და ეკა გიგაურით დაუმთავრებელმა, თავიანთ მოვალეობად ჩათვალეს, მხარი დაეჭირათ ხელისუფლების „დემოკრატიული პროვოკაციისათვის!“ მათი აზრით, სამართლიანობის აღდგენა დემოკრატია არ არის...

ხელისუფლებას ისე ეპიტნავება თვითმმართველობა, როგორც ვირს პიტნა, რადგან ეს მისი ძალაუფლების შეზღუდვას ნიშნავს, მაგრამ სამართლიანობისაგან თავის დასაღწევად, იგი ყაბულს არის, რომ ძალაუფლებაც შეიზღუდოს. უფრო სწორად, შეზღუდვაზე ილაპარაკოს, რადგან, მიუხედავად ევროკავშირის იძულებისა, იგი ცდილობს, ისე მოაწყოს საქმე, რომ, ხალხს თვითონვე ათქმევინოს უარი თვითმმართველობაზე. **ასეთ ვითარებაში, ხელისუფლება ერთდროულად სამ კურდღელს იჭერს: სამართლიანობის აღდგენისგანაც თავს იძვრენს, ძალაუფლებასაც არ იზღუდავს და „დემოკრატის“ იმიჯსაც ინარჩუნებს.** რა თქმა უნდა, უფრო მარტივი იქნებოდა, ხელისუფლებას პირდაპირ უარი ეთქვა სამართლიანობის აღდგენაზე და „თვითმმართველობაზე“ აღარ ექადაგა, მაგრამ მაშინ სააკაშვილ-ალასანიასავით ხისტ მეთოდზე დასჭირდებოდა გადასვლა და „დემოკრატის“ იმიჯიც შეელახებოდა. დავით უსუფაშვილი კი ალასანიასაგან განსხვავებით, ზომიერი პოლიტიკოსი ჩანს და „თვითმმართველობით“ მანიპულირებას ამჯობინებს.

ხელისუფლების მიერ სამართლიანობის სხვა საკითხით ჩანაცვლების ხრიკი ახალი არ არის. კორუმპირებულმა საბჭოთა პარტოკრატიამაც ეს ხრიკი იხმარა, როდესაც, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დისიდენტთა სამართალდამცველური მოძრაობა (ПРавозащитное движение) „ეროვნული მოძრაობით“ ჩაანაცვლა, რითაც დაღუპა საბჭოთა ხალხი, რომ თვითონ თავი გადაერჩინა (ამის შესახებ იხ. ჩემი წერილი: „ეროვნული მოძრაობა როგორც სამართლებრივი მოძრაობის ფარვატერი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 02.03.2007). როდესაც პრეზიდენტმა პუტინმა საბჭოთა კავშირის დანგრევას „კატასტროფა“ უწოდა, მას მხედველობაში ჰყავდა საბჭოთა ხალხი და არა საბჭოთა პარტოკრატია. ეს უკანასკნელი არა მარტო გადარჩა, არამედ საბჭოთა ხალხის კუთვნილი „სახელმწიფო ქონებაც“ მიიტაცა და მილიარდერი გახდა. **„რკინის ლედი“ მარგარეტ ტეტჩერი გულუხვად გვპირდებოდა, „საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ სახელმწიფო ქონება ხალხს დაუბრუნდებაო“, მაგრამ სახელმწიფო ქონება კი არა, ხალხს შემნახველ სალაროში შენახული დანაზოგიც აწაპნეს და ნაგავში საქექად გაუხადეს საქმე.** ხალხი გაოგნებული კითხულობს, რა იქნა ჩვენი ანაბრებიო? ჰკითხეთ შევარდნაძეს და გეტყვით! ანაბარი მგელმაც იცისო, მაგრამ ხარბი ხელისუფალნი მგლებზე უარესები არიან. შევარდნაძეს სიტყვა გადაუკრეს: „თქვენს შვილს პარიზში ხუთოთახიანი ბინა ჰქონიაო“. მას ძარღვიც არ აუთამაშდა შუბლზე, ისე უპასუხა: „ხუთოთახიანი კი არა, შვიდოთახიანი აქვსო“. ვაგზლის მოედანზე კი ვიღაც უსახლკარო ქუჩაში სიცივისგან გარდაცვლილა (ვახუშტი მენაბდესა და ნინო ლომჯარიას არ გააგებინოთ, ცოდოები არიან!).

ხელისუფლებას ისე ეპიტნავება თვითმმართველობა, როგორც ვირს პიტნა, რადგან ეს მისი ძალაუფლების შეზღუდვას ნიშნავს, მაგრამ სამართლიანობისაგან თავის დასაღწევად, იგი ყაბულს არის, რომ ძალაუფლებაც შეიზღუდოს. უფრო სწორად, შეზღუდვაზე ილაპარაკოს, რადგან, მიუხედავად ევროკავშირის იძულებისა, იგი ცდილობს, ისე მოაწყოს საქმე, რომ, ხალხს თვითონვე ათქმევინოს უარი თვითმმართველობაზე. ასეთ ვითარებაში, ხელისუფლება ერთდროულად სამ კურდღელს იჭერს: სამართლიანობის აღდგენისგანაც თავს იძვრენს, ძალაუფლებასაც არ იზღუდავს და „დემოკრატის“ იმიჯსაც ინარჩუნებს. რა თქმა უნდა, უფრო მარტივი იქნებოდა, ხელისუფლებას პირდაპირ უარი ეთქვა სამართლიანობის აღდგენაზე და „თვითმმართველობაზე“ აღარ ექადაგა, მაგრამ მაშინ სააკაშვილ-ალასანიასავით ხისტ მეთოდზე დასჭირდებოდა გადასვლა და „დემოკრატის“ იმიჯიც შეელახებოდა. დავით უსუფაშვილი კი ალასანიასაგან განსხვავებით, ზომიერი პოლიტიკოსი ჩანს და „თვითმმართველობით“ მანიპულირებას ამჯობინებს.

საბჭოთა კავშირი ინტერნაციონალისტური სახელმწიფო იყო და იქ ეროვნული პრობლემა არ იდგა. იქ იდგა სამართლებრივი პრობლემა და მას სამართლებრივი რეფორმა სჭირდებოდადა არა დანგრევა. ამიტომ ამბობდა მერაბ მამარდაშვილი: **„სახელმწიფო კონსტრუქტორი არ არის, რომ დაშალო და ააწყო, მას რეფორმა სჭირდება. ამისათვის კი, მიზანშეწონილია, რომ ქართველმა ხალხმა რაღაც პერიოდი რუს ხალხთან ერთად იაროს“-ო. ზაზა ფირალიშვილს, გიორგი მარგველაშვილსა და სხვა ნატოძახიებს, „მამარდაშვილელობას“ რომ იჩემებენ, ევროპელ და ამერიკელ ხალხებთან სიარული მოსდომნიათ, იმას კი აღარ კითხულობენ, უნდათ იმათ ამათთან სიარული?! ევროპელმა და ამერიკელმა ხალხებმა სამართლიანობისათვის ყველაფრის გაწირვით – Fiat justitia, et pereat mundus! („აღსრულდეს სამართალი, თუნდ დაიღუპოს ქვეყანა!“) – ააშენეს თავიანთი სამოთხეები; ამათ კი უნდათ, სამართლიანობის გაწირვით დაღუპონ თავიანთი სამოთხე!**

თვითმმართველობას რა სჯობია, მაგრამ თუ მას წინ არ უსწრებს სამართლიანობა, იგი ქვეყნის დაშლით მთავრდება. საქართველოს სსრ იმიტომ დაიშალა ჯერჯერობით სამ ნაწილად, ხოლო ქართველი ერი მომაკვდავი ერების სიაში ჩაეწერა, რომ 25 პოსტსაბჭოთა წლის მანძილზე არც ერთმა ხელისუფლებამ არ აღირსა მას იმის მეათედი სამართლიანობა, რაც საბჭოთა ტოტალიტარიზმის წლებში ჰქონდა. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე დღესაც: დღევანდელი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული უსამართლიანობო თვითმმართველობაც სხვა არა არის რა თუ არა, გამსახურდიას პირით გაჟღერებული შევარდნაძის უდემოკრატიო დამოუკიდებლობის („ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია“) სულისკვეთება. მე არ ვიცი, რაში სჭირდებოდა ბატონ ზვიადს დამოუკიდებლობა (ალბათ, იმისათვის, რომ ბატონი გამხდარიყო!), მაგრამ ამხანაგ ედუარდს იმისათვის სჭირდებოდა, რომ საჩივრების გამო მოსკოვიდან გამოგზავნილ კომისიებს აღარ შეეწუხებინა და განუკითხავად ემართა საქართველოს მოსახლეობა (ამ მხრივ, იგი ქართველებსა და არაქართველებს ისევე არ განასხვავებდა, როგორც რაჯ კაპურის სონა ჩანდ ჰარმანანდი – ღარიბებსა და ღატაკებს).

უსამართლიანობო თვითმმართველობა, როგორც უდემოკრატიო დამოუკიდებლობა, ადგილობრივი ტირანიაა, ადგილობრივი ტირანია კი ცენტრისტულ ტირანიაზე უარესია: თუ ცენტრისტული ტირანიის დროს ადგილობრივი ტირანის წრესგადასულობა ცენტრის ტირანთან შეგიძლია გაასაჩივრო, ადგილობრივი ტირანიის დროს გაჩივრების საშუალებაც აღარა გაქვს, რადგან ადგილობრივი ტირანი უკვე დამოუკიდებელი ტირანია. საკაშვილის ჯალათები პატიმრებს ლოგინზე წყალს უსხამდნენ, რომ ღამე ვერ დაწოლილიყო და დაეძინათ. ლოგინი ერთადერთი თავშესაფარია პატიმრისათვის და მისი ხელყოფა „ქართველი“ ჯალათის მეტს თავში არავის მოუვა. ამიტომ ამბობდა მერაბ მამარდაშვილი: მე მხოლოდ იმისათვის ვუჭერ მხარს ეროვნულ დამოუკიდებლობას, რომ ხალხი მიხვდეს: ეროვნული მჩაგვრელი უცხო მჩაგვრელზე უკეთესი არ არისო. ცენტრისტული ტირანია ნიშნავს: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალიც არის“; ადგილობრივი ტირანია კი: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“. ბატონყმობაც არსებითად ადგილობრივი ტირანია იყო: ბატონს შეეძლო მოეკლა ყმა და პასუხი არ ეგო.

დამოუკიდებლობა ვიღაცებს ხალხის თვითმმართველობა ჰგონიათ. სინამდვილეში, იგი ადგილობრივი ტირანების მმართველობაა. გამსახურდიამ დამოუკიდებელი ტირანობა ვერ მოასწრო, თუმცა 3 თვეში თბილისის მოსახლეობამ მას უკვე „ჩაუშესკუ“ დაუძახა; შევარდნაძე და სააკაშვილი კი ნამდვილი დამოუკიდებელი ტირანები იყვნენ. მართალია, ვერც ერთი და ვერც მეორე ნაბიჯს ვერ დგამდნენ აშშ-ის ხელისუფალთა უნებართვოდ, მაგრამ მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში, საშინაო პოლიტიკაში კი ისეთივე დამოუკიდებლები იყვნენ, როგორც პრეზიდენტ რუზველტის „ძაღლიშვილი“ ნიკარაგუელი ანასტასიო სომოსა და რეიგანის მეგობარი ფილიპინელი ფერდინანდ მარკოსი.

თუ არ იქნა სამართლიანობა, არც თვითმმართველობა იქნება და არც მმართველობა, არც სახელმწიფო და არც მოქალაქე, არც ერი და არც ბერი, და არც ის „მთლიანობა“, რაც დარჩა... უსამართლო „სახელმწიფოში“ (ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, ეს „ყაჩაღთა ხროვას“ ნიშნავს) არავინ მოისურვებს ცხოვრებას და ვისაც საით შეუძლია, იქით გაიქცევა, მიწით თუ უმიწოდ. უსამართლობას გაექცნენ არა მარტო აფხაზები და ოსები, არამედ ქართველებიც, და თუ ასე გაგრძელდა, უპატრონოდ დარჩება ქვეყანა, უპატრონო ქვეყანას კი, როგორც უპატრონო ეკლესიას, ეშმაკები დაეპატრონებიან. სამართლიანობა, როგორც ღმერთი – აერთიანებს; უსამართლობა, როგორც სატანა – ყოფს.

ამიტომ – ჯერ სამართლიანობა, მერე – თვითმმართველობა!

ომარ ხახაშვილი

◎ სტრატეგიული პარტნიორობა

აზერბაიჯანი გადაიქცა ქვეყნად, რომელიც რეგიონსა და ევროპაში სტაბილურობის გარანტიას იძლევა

აზერბაიჯანში მიზანდასახული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, როდესაც იგი წარმოგვიდგება, როგორც რეალური ძალა საერთაშორისო არენაზე, აწარმოებს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას წამყვან სახელმწიფოებთან, აძლიერებს თავის პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ადასტურებს მის გადაქცევას რეგიონისა და ევროპისთვის სტაბილურობის გარანტად, საიმედო ხიდად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აზერბაიჯანმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ქვეყნის ეკონომიკა 3-4-ჯერ გაიზარდა და ეს ჭეშმარიტად მსოფლიო რეკორდია. ამ პერიოდში ბიუჯეტის შემოსავალი გაიზარდა 20-ჯერ, ხელფასი – დაახლოებით 6-ჯერ, პენსიები – 9-ჯერ.

თუ ათი წლის წინათ სიღარიბის დონე 49 პროცენტს შეადგენდა, რეფორმების განხორციელების შედეგად ეს ციფრი უკვე შემცირდა 5,5 პროცენტამდე, გაიხსნა 1,2 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი. ქვეყნის საგარეო ვალი საშინაო მთლიანი პროდუქციის 7-8 პროცენტს შეადგენდა. ეს ყოველივე მომავალი განვითარების სწორი ხედვისა და ზუსტად განსაზღვრული სტრატეგიის შედეგია.

აზერბაიჯანში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები პარალელურად ხორციელდება. დემოკრატიის განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება თავის შედეგებს იძლევიან.

აზერბაიჯანში, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს სამოქალაქო გათიშვის პირისპირ იმყოფებოდა, ქვეყნის ხელისუფლებაში ბრძენი პოლიტიკოსის ჰეიდარ ალიევის დაბრუნებით დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი. ქვეყანაში დაიწყო დემოკრატიული განვითარება ყველა დარგში, აღდგენილია სტაბილურობა. გლობალური პროექტების განხორციელებამ მსოფლიო სახელმწიფოებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ეს პროექტები სამართლიანად ითვლება ჰეიდარ ალიევის შორსმჭვრეტელობის პროდუქტად. სწორედ მისი წყალობით, გაბედულობით დღითი დღე უმჯობესდება ურთიერთობა საქართველოსთან.

ურთიერთობა საქართველოსა და აზარბაიჯანს შორის კეთილმეზობლობიდან სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა.

მემკვიდრეობისადმი ერთგულების საქმეში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის მაგალითი ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების მეგობრულ ურთიერთობათა გაღრმავებას, ეკონომიკური სტრატეგიის განვითარებას. და ეს არის ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ბედნიერი მომავლის უზრუნველყოფის, რეგიონსა და მთლიანად ევროპაში სტაბილურობის დაცვის გარანტია.

ისლამ ალიევი

◎ ვითარება

მთავრობა კრიზისის მართვის ზღვარზე

„დაეჯახებიან“ ერთმანეთს საბჭო და ცენტრი?

საძართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, შეიქმნება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის ცენტრი, რომლის სტრუქტურის გამართვაში საქართველოს მთავრობას აქტიურად დაეხმარებიან პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები. პოლიტიკის ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩა უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს გარეშე. რა ფუნქცია ექნება უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის ცენტრს?

საქართველოს მთავრობის საგანგებო შეკრებაზე ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის აქტიური დახმარებით შეიქმნება. მისი თქმით, ცენტრი, რომელიც მიმდინარე თვის ბოლომდე უნდა შეიქმნას, საგანგებო ვითარებებში კოორდინაციას გაუწევს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მოქმედებას, მანამდე კი შექმნილი პრობლემების გასამკლავებლად დროებითი შტაბი იმუშავებს: **„რათა გამოწვევებს ვუპასუხოთ ოპერატიულად და ყველა ის პრობლემა, რომელიც არსებობს საქართველოში, სტიქიისგან გამოწვეული, მყისიერად იქნეს მოგვარებული. ასეთი დიდთოვლობა აჭარაში არ ყოფილა ბოლო 25 წლის განმავლობაში. დაზიანდა ძალიან ბევრი ელექტროგადამცემი ხაზი, ბევრი ანძა წაიქცა. აღდგენითი სამუშაოები დაიწყო ოპერატიულად და ამჟამადაც მიმდინარეობს. ენერგეტიკის მინისტრისგან მაქვს ინფორმაცია, რომ აღდგენითი სამუშაოები დასრულდება 10-12 დღეში“.**

დასაქმებული იქნებიან სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროცესებში. ეს მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯოს ოპტიმალურად. არის საკითხები, რომელთა გადაჭრასაც სჭირდება ოპერატიული რეაგირება...

ამასთან, ცენტრის მუშაობა არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, რადგანაც ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის თქმით, ცენტრის წევრები ანაზღაურების გარეშე იმუშავებენ: **„დასაქმებული იქნებიან სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროცესებში. ეს მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯოს ოპტიმალურად. არის საკითხები, რომელთა გადაჭრასაც სჭირდება ოპერატიული რეაგირება. ეს ცენტრი მოგვცემს კომუნიკაციისა და პრობლემების გადაჭრის ეფექტიან საშუალებას“.**

ცენტრის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრი დავით ნარმანია, რომელიც აჭარაში შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად დროებითი საბჭოს მუშაობაშიცაა ჩართული.

„კრიზისების მართვის ცენტრის მთავარი დანიშნულება იქნება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის მეტი კოორდინაციის განხორციელება ისეთი ფორსმაჟორული სიტუაციების დროს, როგორიც არის წყალდიდობა, დიდთოვლობა და სხვა არასასურველი მოვლენები. ყველა ძირითადი სამინისტრო, რომელსაც შეხება აქვს ამ საკითხებთან, იქნება ჩართული ცენტრის საქმიანობაში. იგულისხმება სტიქიური უბედურების დროს მართვის და ინფრასტრუქტურის აღდგენის კომპონენტები“.

პრეზიდენტს შიდა საქმეებში ჩარევის უფლება ხშირ შემთხვევაში არ აქვს. ამ დროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი პირდაპირი დანიშნულებაა შიდა საფრთხეების ანალიზი და განეიტრალების გზების ძიება. ამიტომ დადგა დღის წესრიგში კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისა უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით და გაყოფა ამ სტრუქტურის ფუნქციებისა...

სწორედ ინფრასტრუქტურის აღდგენას უკავშირდება მთავარი სირთულე, რომლის გამოც ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონები, სადაც აღდგენითი სამუშაოების დასრულება დიდთოვლობის გამო ვერ ხერხდება. ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის თქმით, აჭარისათვის ელექტროენერგიის მიწოდების სამივე ალტერნატიული წყარო იყო დაზიანებული: **„აქ ძალიან სერიოზული პრობლემები იყო. თუ არ ვცდები, 8-9 ანძა არის წაქცეული თავის ხაზებიანად. 10-12 დღეში ამ რაიონებშიც სრულად აღვადგენთ დენის მიწოდებას“.**

ვიცე-პრემიერ კახა კალაძის თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის ცენტრის მუშაობაში ჩართული იქნებიან თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, რაც ლოგიკურად მიაჩნია პოლიტიკის ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძესაც. მისი თქმით, კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ, პრეზიდენტთან არსებულ უშიშროების საბჭოს აქვს უფრო მეტი უფლება, ვიდრე თავად პრეზიდენტს.

„პრეზიდენტს შიდა საქმეებში ჩარევის უფლება ხშირ შემთხვევაში არ აქვს. ამ დროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი პირდაპირი დანიშნულებაა შიდა საფრთხეების ანალიზი და განეიტრალების გზების ძიება. ამიტომ დადგა დღის წესრიგში კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისა უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით და გაყოფა ამ სტრუქტურის ფუნქციებისა. პრეზიდენტთან არის სათანადო ანალიტიკური აპარატი და იმ ფუნქციებით, რაც პრეზიდენტის უფლებებში აღარ შედის, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, უნდა იყოს პრემიერ-მინისტრთან და ასეც არის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მივდივართ“, უთხრა ხათუნა ლაგაზიძემ რადიო „თავისუფლებას“.

ხათუნა ლაგაზიძის თქმით, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის ცენტრის შექმნა უაღრესად საჭირო და გადაუდებელი საქმეა, რადგანაც ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ქვეყანა მუშაობდა ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული ტვინის“, ანუ უშიშროების საბჭოს გარეშე, რომელიც გეგმავდა როგორც ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკას, ასევე ადგენდა რისკებისა და გამოწვევების კატალოგს და ეძებდა მათი განეიტრალების გზებს. ხათუნა ლაგაზიძის თქმით, სულ მალე, შესაძლოა, ვიხილოთ ერთგვარი „შერკინება“ პრეზიდენტთან არსებულ უშიშროების საბჭოსა და პრემიერთან არსებულ ცენტრს შორის.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **რაღაც ფოტოზე აღმოვჩნდი „დამაუსებული“ – „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი“ ჰქვია. დამიტოვეთ არჩევანი, პატივცემულებო, იქნებ ბუდიზმი და სიცოცხლე მირჩევნია?**

● **სააკაშვილს უნდა, რომ ისტორიაში ჩათლახის სახელით არ დარჩეს. ცდილობს, ბიბლიოთეკის ამშენებლად მოიხსენიონ.**

● **მთელ ფეისბუქზე ავთანდილი „კატაობს“. ხან ჯიპით და ხან სკუტერით. თავბრუ დამეხვა.**

● **სანამ ევროკავშირთან ახალ დოკუმენტს მოვაწერთ ხელს, რუსეთი აუცილებლად შეეცდება ჩვენს განეიტრალებას და, შესაძლოა, თბილისშიც იგივე განმეორდეს, რაც დღეს კიევში ხდება. უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ რუსეთს უკრაინასთან მიმართებაში ძალიან სერიოზული ეკონომიკური ბერკეტები აქვს, საქართველოსთან მიმართებაში კი – სამხედრო-პოლიტიკური ბერკეტები. ამ ბერკეტებში შედის ყველაფერი ის, რაც საქართველოში სიტუაციას დაძაბავს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ვითარების დაძაბვა.**

● **ბატონმა ბიძინამ მოახერხა და გააკეთა ის, რაც ჩვენ ვეცადეთ, მაგრამ ვერ შევძელით. ჩვენში ნაგულისხმები მყავს ის ოპოზიციური სპექტრი, რომელიც ათი წლის განმავლობაში არაფერს მოერიდა - შიშს, შიმშილს და არც სხვა რამეს. აღვნიშნავ, რომ ეს იყო ის შავი საქმე, რომელიც გავაკეთეთ მანამდე, სანამ მოვიდოდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ამას ისტორიაც დაწერს, ვინ როგორ გაწირა თავი და ვის რად დაუჯდა ეს წლები. მე იმ ბიჭებზე მაქვს საუბარი, რომლებმაც ცოხე გამოიარეს, იმ ადამიანებზე, ვისაც საკუთრებები ჩამოერთვა, იმ ხალხზე, ვისაც ეს ყველაფერი საკუთარი ფსიქიკის ფასად დაუჯდა.**

● **მე ვნახე ბევრი უჟურადღებოდ დარჩენილი ადამიანი, ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებსაც ვერ დაუბრუნეს წართმეული ქონება, ბევრი, რომლებმაც სამართალი ვერ იპოვეს! ბევრი – სოციალურად დაუცველი! საზოგადოებას ჩვენს თავს ვთავაზობთ და მოდით, კოჰაბიტაციაში ჩვენთან შემოვიდნენ და არა – „ნაციონალებთან!“ თუკი კვლავ ვერ ვნახავთ ხელისუფალთა მხრიდან ყურადღებას, მაშინ დაიწყება მანიფესტაციები! დიახ, ვინც სულიერად და მორალურად გაუპატიურებული და ღირსებააყრილი ადამიანია, ყველა ამ საზოგადოებაშია!**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელიაო, ნათქვამია. ეს სენტენცია, როგორც უკრაინისა და საქართველოს ბოლო დროის მოვლენებიდან გამოჩნდა, ყოველთვის არ ყოფილა უდავო სიბრძნე.

სწორედ ამ რაკურსით შევეცდები ვისაუბრო უკრაინაში მიმდინარე დრამატულ პროცესებზე, რა თქმა უნდა, საქართველოსთან პარალელების თანხლებით...

საქართველო იყო ყველაზე მეტად არასაბჭოთა და ყველაზე მაღალი ცხოვრების დონით გამორჩეული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში; აქედან გამომდინარე, იქნებ პარადოქსულადაც (???), ყველაზე დიდი და სისხლიანი (1989 წ. 9 აპრილი) წვლილი გაიღო საქართველომ სსრკ დანგრევაში; პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, ყველაზე მეტად „სამგლე გოჭებივით ატეხილები“ ისევ ჩვენ ვიყავით და, როგორც ჩანს, დღესაც ჩვენა ვართ; ასევე საქართველო აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი და წარმატებული (III) პოლიგონი ფერადი რევოლუციებისა; ვარდისფერი თბილისის მერე, მხოლოდ მეორე იყო ნარინჯისფერი კიევი (მაჩანჩალა ბიშკეკი აბა რა სახსენებელია?).

რაც კარგები ვართ და მაგრები, ქართველები ხომ ვართ! მართლაც, მაგრები და მერე როგორი? — ქართველთა მიერ 2004-ში კიევში გადასხმულმა რევკომის დესანტმა გივი ჩე-გევარა თარგამაძეს მეთაურობით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უკრაინელი მოძმე ლიბერასტების გამარჯვების საქმეში!

მას შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, კიევისა და თბილისის ნეოლიბერალური ხელისუფლება ტანდემში უშლიდა ნერვებს მოსკოვს, მაგრამ კიდევ ერთი ფერადი ჭირის ეპიდემია ვერც „ბალოტნიზე“ და ვერც სხვაგან, მინსკში, ვერსად გაავრცელეს!

ამასობაში არჩევნების გზით ჯერ უკრაინაში მოუგრიხეს კისერი ვიქტორ იუშჩენკოს ნარინჯისფერ ხელისუფლებას, იქამდეც კი, რომ არჩევნების შემდეგ „პრიმა-ნაშა“ პრემიერი იულია ტიმოშჩენკო ციხეში ჩასვეს.

მოგვიანებით ვიქტორ იუშჩენკოს მისი ნათლიმამა — მიშა სააკაშვილიც მიაყოლეს თბილისში და ახლა ის, რაც კიევის ევრომაიდანზე ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ერთ მდინარეში მეორედ შესვლა, ანუ, კიდევ ერთი ფერადი რევოლუციის მცდელობა და მაშ სადღაა საქართველოს ყველაფერში პირველობა და მაგრობა პოსტსაბჭოთა სივრცეში?

მეც ამას ვფიქრობდი და ის იყო, ხელი ჩავიქნიე მუდამ პირველობის პრეტენზიაზე, რომ არქიმედესავით ევრიკა-მეთქი, აღმომხდა — ჩვენთან ხომ უკვე წელიწადზე მეტია ახალი ფერადი რევოლუცია მოხდა, მაგრამ ისე, რომ ვერც ვიგრძენით (უფრო სწორედ ავი ვერაფერი ვიგეშეთ, თორემ...), რადგან ყველაფერში ნიჭიერმა ქართველებმა რევოლუციების „მაიდნების“ გარეშე მოხდენაც მოვახერხეთ — 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები, როგორც წლისთავზე აღმოჩნდა, იყო კიდევ ერთი ფერადი რევოლუცია და არა ის, რისი იმედიც გვქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს იმ წართმეულ სამშობლოს (მხოლოდ 2008 წ.ომს არ ვგულისხმობ, რადგან სამშობლო მარტო ტერიტორია არ არის) დავიბრუნებდით, სადაც ქართველობა ფაშისტობად აღარ ჩაითვლებოდა, ბოზობას კაცობა აჯობებდა, ხლისტობას — რწმენა მამა-პაპათა და ა.შ. ის უმარტივესი ჭეშმარიტებები, რომლებიც მიუხედავად იმისა, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა თუ არა, სადავო და საკამათო არასდროს ყოფილა საქართველოში!

1 ოქტომბერს საარჩევნო ყუთებთან მომხდარი ფერადი რევოლუციის მთავარი მიზანი, „როგორც წლისთავზე აღმოჩნდა“, რესპუბლიკური პარტიის, ამ მარად 1%-იანი ურეიტინგო პარტიის ხელისუფლებაში მოყვანა ყოფილა!!!

თუ არა და, ვისაც ეჭვი გეპარებათ, „წამომყევით“ და ერთად ავკინძოთ ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვის რგოლები:

ჩვენი დამაქცევარი, ე.წ. ვარდების რევოლუციითაც ხომ მოვიდნენ რესპები ხელისუფლებაში? კი ბატონო, მაგრამ მაშინ სააკაშვილის დიქტატორული „ზამაშკების“ თუ სხვა რამის გამო ვერ მოასწრეს სახელისუფლო ვერტიკალ-ჰორიზონტალში ფესვების გადგმა, ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს?!

მთავარი ის იყო, რომ სააკაშვილის ბულდოზერმა ზურაბ ჟვანიას გარდა, ძალაუფლებაში მოწილე ყველა შესაძლო კონკურენტი, მათ შორის უპირველესად რესპუბლიკელები მიჯირყვნა, რაზედაც დასავლეთმა მაშინ თვალი დახუჭა, რადგან დასავლეთს, როგორც დამკვეთ-დამფინანსებელს ვარდების რევოლუციისა, უწინარესად შედეგი აინტერესებდა და არა ის, ამ შედეგს დიდი ხნის წინ „დაკერბოვკებული“ რესპუბლიკელების მეშვეობით მიაღწევდა თუ სხვა ძალებიც.

შედეგი კი, ყოველგვარი ეროვნულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის ჩაწიხვლა-ჩარეცხვის გზით, ე.წ. ახალი ქართველის უჯიშო ჯიშის გამოყვანა იყო, რაშიაც ზურაბ ჟვანია ხელს ვერ და არ შეუშლიდათ, რადგან რესპუბლიკელებისა არ იყოს, ზურაბ ჟვანიაც არანაკლები ლიბერასტი ბრძანდებოდა და ახლა სულ ტყუილა ცდილობენ მავანნი მის, ლამის, როგორც ეროვნულ გმირად წარმოჩენას!

მიცვალებულებზე ან მხოლოდ კარგს ლაპარაკობენ, ან, საერთოდ, არაფერსო! კი ბატონო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ტყუილები ვილაპარაკოთ. არადა, სწორედ ეს იყო ახლახან, როდესაც ჟვანიას 50 წლისთავი აღნიშნეს:

ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამას და იმას იზამდა თუ არ იზამდა — ეს იყო დისპუტის მთავარი თემა! ამიტომ ვიმეორებ, ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლება ცოცხებამდე არ მისულიყო საქმე, მაგრამ სხვა მხრივ, ანუ, ეროვნული მიმართულებებით, შეიძლება უარესადაც ყოფილიყო საქმე, რადგან სააკაშვილის უინტელექტო ხლისტები თუ ნაჯახით ჩორკნიდნენ ახალ ქართველს და ამიტომ წინააღმდეგობასაც აწყდებოდნენ, იგივეს ზურას მსგავსი ინტელექტუალები ფერებ-ფერებით გააკეთებდნენ. ანუ, ისე, როგორც ამას აკეთებენ დღეს გახელისუფლებული რესპუბლიკელები! და აი, თავისთავად დავუბრუნდით მთავარ საკითხს, რომელიც ზურაბ ჟვანიას თემამ თითქოს დაგვავიწყა...

ჟვანიას მკვლელობამ, აგვისტოს ომმა, ციხეებში არსებულმა სადიზმმა (ვინმეს სჯერა, რომ ამერიკელებმა არ იცოდნენ რა ხდებოდა ჩვენს ციხეებში და იმ კადრების გამოქვეყნების მერე გაიგეს?), ბიზნესის რეკეტმა, კერძო საკუთრების უპრაგონო ხელყოფამ და ა.შ. სხვა სიმახინჯეებმა აიძულა აშშ, რომ სააკაშვილის უკონტროლო ხელისუფლება რამენაირად დაებალანსებინა და ამისათვის რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოყვანა დაიგეგმა. ოღონდ არა უმრავლესობაში, არამედ ძლიერი ოპოზიციის სახით, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს არ შეუშლიდა ქართველი ერის განადგურების კურსს სულიერი გენოციდის მეშვეობით და ამავე დროს გააკონტროლებდა სააკაშვილის სახიფათო თამაშებს საგარეო მიმართულებით.

ვინ მამალია და ვინ – დედალი...

ანუ სივრცე, სადაც ჩვენი შვილები თავად კი არ აირჩევენ სქესს, არამედ...

2008 წლის ომის შემდეგ ამ მიზნის განსახორციელებლად ბატონი ირაკლი ალასანია შეირჩა. გახსოვთ ალბათ, როგორი მოლოდინი იყო ქართველ საზოგადოებაში ირაკლი ალასანიას მიმართ და ის მართლაც საპრეზიდენტო რეიტინგით ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ, როგორც დიდი ეროსი იტყოდა, **„მივლალევი შინა და ორივენი იზდოხლი“.**

ანუ ირაკლი ალასანიამ აბსოლუტურად ალოგიკური ნაბიჯი გადადგა, როდესაც საზოგადოებისთვის მიუღებელ რესპუბლიკელებთან შეკრა პოლიტიკური ალიანსი. თუმცა ალოგიკურობასთან ერთად, ლოგიკაც იყო ამაში, მაგრამ ლოგიკა არა ქართული, არამედ პოტომაკის ნაპირებზე მოფიქრებული და **ირაკლი ალასანიაში ჩადებულ-დავალებული — ამერიკელი ბოსების გათვლით, ირაკლი ალასანიას მაღალ რეიტინგს უნდა „ამოექაჩა“ რესპუბლიკელების მარად ერთპროცენტიანი რეიტინგი და...**

მოხდა პირიქით, რესპუბლიკელებმა „შეჭამეს“ ირაკლი ალასანიას რეიტინგიც და პოტენცია-პერსპექტივაში ეროვნული ლიდერის იმიჯიც და რვიან-ექვსიანების ფორმატში პოლიტიკური ონანიზმის შემდეგ ირაკლი ალასანიას ისღა შერჩა ხელში, რომ „ცივილიზებულად“ მიულოცა გამარჯვება გიგი უგულავას. რამაც საბოლოოდ დაამთავრა ქართველი ხალხის თვალში და, რაც მთავარია, გულში, ირაკლი ალასანია, როგორც ეროვნული ფიგურა.

ამის შემდეგ იგივე მიზნით ამუშავდა გეგმა B, სადაც რესპუბლიკელებისთვის ლოკომოტივის როლი ბიძინა ივანიშვილმა ითავა, უფრო სწორად, ათავებინეს და, მართალია, ვერც ბიძინამ შეძლო შეუძლებელი და ქართველ ხალხს რესპუბლიკელები ვერ შეაყვარა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით დათრგუნულმა ქართველმა საზოგადოებამ თვალი დახუჭა ერთობ ჭრელი კოალიციის რესპუბლიკურ შემადგენელზე და ის მხოლოდ დასავლეთისთვის თვალის ასახვევ იძულებით ანტურაჟად ჩათვალა!

აბა სხვას რას ვიზამდით, რესპუბლიკელები ხომ თვით სამების აღმშენებელმა ჩაიხუტა? ჰოდა, ბიძინამ იცის! ამით ნუგეშობდა ქართველი საზოგადოების და ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი, რომელსაც წლების მანძილზე ივანიშვილის პენსიით გაჰქონდა თავი.

ეს, „ბიძინამ იცის“ დღემდე გრძელდება და ამ იცის-იცისში დავით უსუფაშვილი, ჩვენ რომ ანტურაჟი გვეგონა, პარლამენტის თავმჯდომარედ წამოგვისკუპეს და რესპები დომინირებენ მთელს პარლამენტში; იცის და თუ გინდა... ჰოდა, პლასტელინი პრეზიდენტად დავისვით და ნაცები ერთადერთ რეალურ ოპოზიციად; იცის და თუ გინდა... ჰოდა, კოჰაბიტაცია არათუ დამთავრდა, როგორც პლასტელინი გვპირდებოდა, არამედ, როგორც თქვენი მონამორჩილი ვვარაუდობდი, პოლიტიკურად ერთსქესიანი ქორწინებით დასრულდა და იქამდეც კი, რომ ქორწინების სუბიექტები ინტიმურ სცენებსაც ურცხვად გვაყურებინებენ, როგორ ამზადებენ ნეფე-პატარძალი (ვინ, ვინ არის, თავად მორიგდებიან) ზვიად ძიძიგური და გიგი წერეთელი რომელიღაც მიშავიზიის „კუხნაში“ სოკოს შაჭამანდს (ავოეე, ზვიად შე ყანავ! შაჭამანდებს ქართლ-კახეთში ამზადებენ და არა სამტრედიაში); იცის და თუ გინდა... ჰოდა, რესპებმა ისეთი თვითმმართველობის კანონის „შეცურება“ სცადეს, რომ პატრიარქმა, ეს მერამდენედ, არიქა, ვიღუპებითო! ამის მერე აფუცხუნდნენ, ვითომ რაღაცეები შეცვალეს, რის შემდეგაც ეკა ბესელიამ, ზვიად ძიძიგურმა, გიორგი ვოლსკიმ, გუბაზ სანიკიძემ და ა.შ. სხვა მრავალი, მათი სახელი ლეგიონია, სეპარატიზმის საფრთხეებს ვერ ვხედავთო — მაშ პატრიარძს დასიზმრებია, თძვე შოგელგუნდღეგო არა?

კიდევ ბევრი, „იცის და თუ გინდას“ მოხმობა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ საკმარისია, რადგან მთავარი ის არის, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს უკვე აღარ სჯერა ამ „იცის“ და რაც დრო გადის, განსაკუთრებით ბიძინას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ბიძინას უცოდველობის მრწმენნი სულ უფრო ცოტავდებიან!

მაგრამ, მოდით, ისევ წერილის სათავეს ავხედოთ და ვნახოთ, რა ხდება უკრაინაში? რა და, როგორც უკვე ვთქვით, მორიგი ფერადი რევოლუციის თუ კონტრრევოლუციის მცდელობა!

რის გამო? იმის, რომ იანუკოვიჩის ხელისუფლებამ უარი თქვა, უფრო სწორედ დროებით შეაჩერა იმ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, რომლის მხოლოდ პარაფირება მოახდინა საქართველომ მაია ფანჯიკიძეს სიხარულის კურცხლების თანხლებით!..

ვის სასიხარულოდ აქვს საქმე და ვის — სატირლად, ამას ახლო მომავალი აჩვენებს, მაგრამ მანამდე არ შეიძლება არ აღინიშნოს უკრაინის დასავლელ მეგობართა ორმაგი სტანდარტი? არ მგონია, რომ ასეთი კორექტულობის ადგილი იყოს კიევის მაიდანზე, ამიტომ აშკარად თავხედურ ქმედებებს დავარქმევ!

თავხედობა, უცხო ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევაა, როდესაც ბარონესა ქეთრინ ეშთონი, შტეფან ფულე და სხვა ევროპარლამენტის უმაღლესი ჩინოსნები ბორისპოლის აეროპორტიდან პირდაპირ ოპოზიციის მიტინგზე მიდიან და ერთმნიშვნელოვნად ოპოზიციის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებენ. იგივეს სჩადიან ამერიკელი სენატორები ჩვენთვის ავად ნაცნობი ჯონი მაკკეინის თამადობით, რომლის ხსენებაზე გიორგი ვიცინის უკვდავი რეპლიკა მახსენდება ასევე უკვდავი რუსული კომედიიდან „კავკასიელი ტყვე ქალი“ — „А какой у вас диаметр?“ ჯონი მაკკეინის F-16 ჩამოაგდეს ვიეტნამში და 4 წელი ტყვედ ჰყავდათ ე.წ. ვიეტკონგოელებს, რომელთა „განსაკუთრებული სიყვარული“ ცნობილია იანკების მიმართ და ამიტომ წერდა „ვიეტნამის გმირი“ მამამისს, მიშველეთ თორემ „დიამეტრი“ სახიფათოდ გამიფართოვესო!

ჰოდა, დაეთრევიან ეს სხვადასხვა დიამეტრისა და წონის დასავლელი მაღალჩინოსნები კიევში და ტვინს ურევენ უკრაინელებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ იანუკოვიჩმა ხელის არმოწერით „ევროპული მომავალი“ წართვათ. ამიტომ გახდა იძულებული უკრაინის მთავრობის მეთაური აზარენკო და რუსეთთან ურთიერთობების მომხრეთა მიტინგზე, რომლებიც ევრომაიდანზე არანაკლებნი არიან, პირდაპირ განაცხადა: ციტირებ: **„მათ (ევროპის მომხრეებს — დ.მ.) ჰგონიათ, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მეორე დღიდანვე უვიზოდ წავლენ ევროკავშირის ქვეყნებში. ამისთვის კი ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას მოითხოვენ უკრაინაში და სექსუალური უმცირესობებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭებას! მზად არის უკრაინა ამისთვის? — რიტორიკულად დაასრულა გამოსვლა აზარენკომ და იგივე კითხვას ვუსვამ „აცრემლებულ“ მაია ფანჯიკიძეს — მზად ვართ ასეთი ფასის გადახდისთვის?**

საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის პასუხი, რომ ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იქნება, უეჭველია! ჰოდა, ვისაც გსურთ უკანალების დიამეტრიების ლეგიტიმურ-კანონიერად გაფართოვება, მიბრძანდით იქით, სადაც უკვე დააკანონეს და „აშანტეე“, იფართოვეთ, უფართოვეთ დიამეტრები და სიხარულის ცრემლებად დაიღვარეთ. აქეთ კი, ჩვენ თავი დაგვანებეთ, რადგან ეს „მოწინავე“ ევროპა კი არა, „ჩამორჩენილი“ საქართველოა, ჯერ კიდევ საქართველოა და არ გამოვა ეს, არა...

სხვათა შორის, ეს ის დასავლეთელი თუ ამერიკელი მარალჩინოსნები არიან, რომლებსაც წლების მანძილზე ქართველი ხალხის სასარგებლოდ და კრეტინი სააკაშვილის საწინააღმდეგოდ სიტყვა არ დასცდენიათ!

იხ. 7 გვ.

◎ თანაბარი უფლებები – ყველას, პრივილეგიები – არავის!

საკაშვილსა და მის ბიძას ფოთის პორტი თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ

USAID-ის მიერ შემუშავებული რესტრუქტურიზაციის გეგმის განხორციელებით ფოთის ნავსადგურის ნავმისადგომები სხვადასხვა კომპანიას გრძელვადიანი იჯარით უნდა გადასცემოდა. ეს პროცესი შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყო, საგრძნობლად კი 2003 წლიდან გააქტიურდა. ნავმისადგომებზე ცხადდებოდა საერთაშორისო ტენდერები. გამარჯვებული კომპანიები თავადვე იწყებდნენ ნავმისადგომების ტექნიკურ აღჭურვილობაზე ზრუნვას, აქტივების მართვას, ცდილობდნენ სერვისების გაუმჯობესებას და ტვირთების მოზიდვას.

თითქოს დალაგებული სიტუაცია 2005 წელს აირია. როგორც ფოთის ნავსადგურის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი **უჩა მიქავა** ამბობს, **იჯარით გადაცემაზე გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი მე-9 და მე-10 ტერმინალებზე... მოულოდნელად ყველასათვის უცნობი ფირმა „ბი-ენდ-პი“ გამოცხადდა გამარჯვებულად. დროთა განმავლობაში გაირკვა „გამარჯვებული“ კომპანიის წარმომავლობაც, ამბობს პორტის ადმინისტრაციის ყოფილი წარმომადგენელი. მისი მფლობელი აღმოჩნდა „პეის ინტერნეიშენალის“ მფლობელი აშშ-ის მოქალაქე, სააკაშვილის ბიძის კარის მეზობელი ნიუ-იორკში და ბიზნესში თანამოსაქმე იოსებ დოლიძე.. მისი კომპანია ფოთის ტერმინალების „ტენდერში“ გამარჯვებული „ბი-ენდ-პი“-ს საკუთრების 80 პროცენტის მფლობელია. დოლიძემ სრული მონოპოლია მოინდომა ნავმისადგომებზე და 2010 წელს ამას მიაღწია კიდეც. მან სხვა ნავმისადგომებიც დაიქვემდებარა. ადრე კომპანია „პრომეტკო ჯორჯიამ“, რომელიც მე-3 და მე-4 ტერმინალების მოიჯარე იყო, იმდენს მიაღწია, რომ განხორციელებული ინვესტიციებით მის მიერ აღებული ნავმისადგომების ტვირთბრუნვა არსებული 80 ათასი ტონიდან მილიონ ნახევარ ტონამდე გაიზარდა.**

მას შემდეგ, რაც ფოთის პორტში „ბი-ენდ-პი“ და მონოპოლისტი დოლიძე გამოჩნდნენ, ტერმინალების დატვირთვის საქმე უკან და უკან წავიდა, ამბობს ჩვენი მოსაუბრე და მაგალითად მოჰყავს ბოლო ორი წლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც **2012 წელს მე-3 ტერმინალში თვეში საშუალოდ 18 100 ტონა ტვირთი მიიღეს, როდესაც მათი წინამორბედები თითქმის ნახევარ მილიონზე გავიდნენ. ანალოგიური სიტუაციაა შექმნილი მეოთხე ტერმინალში (27350 ტ – ნახევარმილიონის საპირწონედ). მეექვსე ტერმინალში კი არც ერთი კილოგრამი ტვირთი არ გადამუშავებულა,** ამტკიცებს ჩვენთან მოსაუბრე. მისივე განმარტებით, ნორმალური მეწარმის ხელში გადამუშავება კი არ უნდა იკლებდეს, არამედ იზრდებოდეს. ეს უნდა აწყობდეს, როგორც კომპანიას, რომელსაც მოგება ეზრდება და ისე ბიუჯეტს, რომლის წილიც მატულობს გადამუშავებული ტვირთის მატებასთან ერთად.

ჩვენს კითხვას, თუ როგორ ახერხებს „პეის ინტერნეიშენელი“ საიჯარო გადასახადების გადახდას თუნდაც საწყის დონეზე, როდესაც ტვირთების გადამუშავება წლიდან წლამდე მცირდება (2012 წ. – 2563 631 ტ. 9 თვეში. 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში – 2087 849 ტ.) მიქავა ასევე პასუხობს: **სააკაშვილისა და მისი ბიძის წყალობით, კომპანიამ ტერმინალებზე ტვირთის მიღებისა და გადამუშავების სრული მონოპოლიზება მოახდინა (პორტის ადმინისტრაციის ხელში მხოლოდ საკონტეინერო გადაზიდვების ნავმისადგომებია), რაც მას საშუალებას აძლევს მაღალი ფასები დააწესოს მომსახურებაზე. მაგალითებიც გვაქვს – 1 ტ. ხორბლის მიღება-გადამუშავება ფოთის პორტში 6,4 აშშ დოლარი ღირს, ტრაბზონში – 3,23 დოლარი, ნოვოროსიისკში – 3,20; ბანდერაბასში – სულაც 1,4 დოლარი. იგივე მაღალი ფასებია არმატურის მიღებაზე: ფოთში – 9 აშშ დოლარი, ტრაბზონში კი – თითქმის სამჯერ ნაკლები – 3,3 დოლარი, საგრძნობი განსხვავებებია თუჯის სხმულების მიღების ფასებშიც. ფოთის 1 ტ – 15 აშშ დოლარს უპირისპირდება ნოვოროსიისკის – 6 დოლარი, ტრაბზონის – 2,95 და ბანდერაბასის – 1,4 დოლარი.**

სპეციალისტების მტკიცებით, დოლიძისთვის ქვეყნის ყოფილი პირველი პირის მხრიდან სასათბურე პირობების შექმნამ და ყველა კანონის დარღვევაზე ხელის დაფარებამ გამოიწვია ის, რომ ტვირთებმა იწყო ფოთიდან რეგიონის სხვა პორტებისაკენ გადამისამართება, ასეთი კი შავი ზღვის აუზში მრავლადაა. ოფიციალური მონაცემებით თურქეთმა 2011 წელს ფოთის პორტის გავლით მიიღო 424 55 ტ. ტვირთი, 2012 წელს კი – 270 293 ტ; უკრაინამ 2011 წ. – 118 908 ტ, 2012-ში – 59023 ტ. რუსეთმა 2011 წ. – 76828 ტ, 2012 წ. – 41 911 ტ.

როგორც მიქავა ამბობს, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, რომელსაც საქართველოს ეკონომიკური განვითარება, მონოპოლიებთან ბრძოლა კანონით ევალებოდა, თავისი სამშობლოს წინსვლა ბიძის ნიუიორკელი კარის მეზობლის ინტერესებისთვის არ უნდა ენაცვლებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, ალასანია-დოლიძის ბიზნეს-პარტნიორობა იმდენად ძლიერი და ურთიერთსასარგებლო იყო, რომ ბიძა-დისწულმა ეს ინტერესები სამშობლოს ინტერესებზე მაღლა დააყენეს, ასკვნის ყოფილი თანამშრომელი.

ბიძა-დისწულის ხელშეწყობით შექმნილი პრობლემები

ექსპერტები, სპეციალისტები გამოყოფენ საკითხებს, რომლებიც თანამდევია ნავმისადგომების ერთი მონოპოლისტის ხელში ჩაგდებასა და ნიკო ნიკოლაძის ქალაქის მნიშვნელობის დაკნინებასთან. პირველ რიგში ისინი აღნიშნავენ ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის დაკნინებას. უკვე არსებული მოზიდული ტვირთების მეზობელ სახელმწიფოებში გადამისამართებას, რასაც თან სდევს შემოსავლების შემცირება ქვეყნის, ქალაქის, პორტის ბიუჯეტში, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების შემცირება, კადრების შემცირება, რასაც უკვე არა ერთხელ მოჰყვა გაფიცვები.

სპეციალისტები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ მოიჯარე კომპანია საერთოდ არ ზრუნავს ტვირთების გადასამუშავებელი, მოცვეთილი ინფრასტრუქტურის, ტექნიკის კვლავაღჭურვას და შეცვლაზე. ამით სრულიად იგნორირებულია ნავსადგურისადმი ევროსტანდარტებით წაყენებული მოთხოვნები. ძველი აღჭურვილობით საგრძნობლად ჭიანურდება ტვირთების ჩამოცლა და სარემონტო სამუშაოები.

საქმეში ჩახედული ხალხი იმაზეც საუბრობს, რომ საქართველო ამოვარდნილია საერთაშორისო ლოჯისტიკური სქემიდან. მაღალი სატარიფო განაკვეთების გამო ფაქტობრივად შეუძლებელია ახალი ტვირთების ფოთისკენ მომართვა. როგორც პორტში მომუშავენი ამტკიცებენ, ისინი ძირითადად მუშაობენ იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ჯერჯერობით სხვა ალტერნატივა არა აქვთ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი). თუმცა, „ბი-ენდ-პი“ ამ სახელმწიფოთა ფირმებსა უქმნის პრობლემებს გემებიდან ჩამოტვირთულის ტრანსპორტირების საქმეში. დოლიძის კომპანიამ დააარსა ტერმინალების შიგა ავტონომიური მომსახურების შპს „ტრანსფორდი“ (თბომავლები, ავტომანქანები და ა. შ.). ტვირთის წასაღებად შემოსულ ფირმას პირდაპირ ეუბნებიან, რომ თუ მათი მომსახურებით არ ისარგებლებენ, პრობლემები შეექმნებათ დროის თვალსაზრისით, ტვირთის გადმოტვირთვა-დამუშავების კუთხით.

სააკაშვილ-ალასანიას ხელდასხმულმა ფირმამ იმას „მიაღწია“, რომ მაღალი სატარიფო განაკვეთების გამო, საქართველოში იმპორტირებულ სამომხმარებლო და სხვა საქონელზე მნიშვნელოვნად მოიმატა ფასებმა. ექსპორტიორთათვის ფოთის პორტის დიდი ხარჯები წამგებიანი აღმოჩნდა.

2010 წელს ბიძა-დისწულმა „პეის ინტერნეიშენელს“, რასაკვირველია, არა ლამაზი თვალებისათვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობები... ადრე ისინი სააქციო საზოგადოება „ფოთის გემთსაშენს“ ეკუთვნოდა და, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს, მას ჩამოერთვა და გადაეცა სახელმწიფოს. სააკაშვილმა კი უდიდესი მნიშვნელობის ობიექტი სულ რაღაც 2 მლნ აშშ დოლარად (ან, საერთოდ, როგორ შეიძლებოდა მისი გაყიდვა), საკუთრებაში გადასცა დოლიძეს. იგი ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტის 100-პროცენტიანი მფლობელი გახდა. 2013 წელს კი სააკაშვილი ბიძის ნიუიორკელმა მეზობელმა ათასგვარი შანტაჟით, მუქარითა და მიუღებელი ხერხებით სრულად შეიძინა სააქციო საზოგადოება „ფოთის გემთსაშენი“.

შედეგად ალასანიას ნიუიორკელი კარის მეზობლის ფირმა გახდა ფოთის პორტისა და იქედან გამოტანილი მშრალი ტვირთების გადაზიდვების 100-პროცენტიანი მომსახურე. ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბედზე უკვე ვისაუბრეთ (მისი ტერიტორია 121 193 კვ.მ. ანუ 12 ჰა-ზე მეტია). ამის შემდეგ, ბუნებრივია, ადგილობრივებს უჩნდებათ კითხვა – **სატრანსპორტო კორიდორების ქსელისა და რეგიონში მაღალი კონკურენციის პირობებში შესძლებს კი ფოთი, თუნდაც ძველებურად იმ ფუნქციების შესრულებას, რაც ბუნებისგან აქვს მინიჭებული და ასეთ პირობებში განხორციელდება კი ნიკო ნიკოლაძის გეგმები ფოთის განვითარებასთან დაკავშირებით?**

ჩვენთან მოსაუბრე ფოთის პორტის ყოფილი თანამშრომელი მიქავა თვლის, რომ ამაში ზღვისპირა ქალაქს სახელმწიფოს ხელშეწყობა სჭირდება, რაც უწინარესად მონოპოლიების დანგრევაა. ამას ჩვენი რესპონდენტის აზრით, ყველაფერთან ერთად, სჭირდება იმ დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის ბიძის ინტერესების გასატარებლად ჩაიდინა საკაშვილმა.

წერილს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის თომას ჯეფერსონის სიტყვებით ვამთავრებ: **„თანაბარი უფლებები – ყველას, პრივილეგიები – არავის“.** მის სიტყვებს ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, დავამატებდით – **„კოჰაბიტაცია დამთავრდა, სამართლიანობა უნდა აღსდგეს“.**

ზაზა ბილიხოძე

◎ ფარმაცია

ვინ და რა გააიაფებს წამლებს?

რა შეიცვლება საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ევროპული კომპანიების შემოსვლის შემდეგ, შემცირდება თუ არა ფასები? ეს კითხვები ყველაზე მეტად მომხმარებელს აწუხებს. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბაზარს ახალი მსხვილი მოთამაშეები შეემატებიან. თუკი ისინი საქართველოში წარმოებას წამოიწყებენ, მაშინ ვითარება მკვეთრად შეიცვლება. ჯერ ახალი ინვესტორების ვინაობისა და გეგმების შესახებ დეტალები ცნობილი არ არის.

საქართველოს ბაზარზე უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებთან მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, დასრულებულია. ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს ინფორმაციით, საუბარია, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, უნგრეთისა და ისრაელის ფარმაცევტულ კომპანიებზე.

მინისტრმა ახალი კომპანიების შემოსვლის კონტექსტში საუბრისას, ხარისხის კონტროლის სისტემაც ახსენა. **„ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად მოვახერხებთ ხარისხის კონტროლის სისტემის ამუშავებას, რომ ბაზარი გაიხსნას და ეს კომპანიები შემოვიდნენ“,** – განაცხადა მინისტრმა.

იმაზე, რომ მედიკამენტების ხარისხის კონტროლი აუცილებელია, ყველა თანხმდება. წამლის სააგენტოს ყოფილმა უფროსმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ „პეესპეს“ და „ავერსს“ კარგი ლაბორატორიები აქვთ, მაგრამ ისინი წამლის ბაზრის 90%-ს ინაწილებენ. **„შესაბამისად, საკუთარ პროდუქციას რამდენად კეთილსინდისიერად აკონტროლებენ, ეს საკითხავია“,** – აღნიშნა ბარამიძემ.

ექსპერტის თქმით, ქართული ფარმაცევტული კომპანიები, ძირითადად, არა წარმოებას, არამედ, დისტრიბუციას ეწევიან. ამასთანავე, შემოაქვთ წამალი და საქართველოში მის „დაბლისტერებას“ და შეფუთვას ახორციელებენ.

„კანონის მიხედვით, ექსპორტიორმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სპეციალისტების მივლინება წარმოების ადგილზე. ჩემი ხელმძღვანელობის პირობებში არაერთხელ მივმართე, მაგალითად, „ავერსის“ დამფუძნებელს, ინდოეთიდან შემოტანილი წამლების მონიტორინგი უშუალოდ ქარხანაში ჩაგვეტარებინა. მაინტერესებდა, საერთოდ, არსებობდა თუ არა მსგავსი საწარმო, თუმცა, მიწერ-მოწერა უსაშველოდ გაიწელა, შემდეგ კი დახმარებისთვის ძველ ხელისუფლებაში თავის „ლობისტებს“ მიმართა“, – განაცხადა ბარამიძემ.

წამლის სააგენტოს ყოფილი უფროსის განცხადებით, მთავარ პრობლემად არა ლაბორატორია, არამედ წამლის ხარისხის შესახებ არსებული კანონმდებლობა რჩება, რომელიც დღეს, ძირითადად, უვნებლობაზეა ორიენტირებული. **„წამალი არ გავნებს, მაგრამ არც განგკურნავს, სამაგიეროდ, მოსახლეობა ამაში ფულს ყრის“,** – აღნიშნა ბარამიძემ სააგენტო „ბიპიენთან“ საუბრისას.

„პეესპე აფთიაქის“ დამფუძნებელი და პარლამენტარი კახა ოქრიაშვილი აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, კონკრეტულად რომელი უცხოური ფარმაცევტული კომპანიები შემოვლენ საქართველოში. ის კომპანიები, რომლებიც უნდა შემოვიდნენ, არიან მწარმოებლები, ის მათ შემოსვლას მხოლოდ მიესალმება.

„თუკი აწარმოებენ პროდუქციას ადგილზე, გაყიდიან ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტზეც გაიტანენ, მე ამას მხოლოდ მივესალმები, რადგან ეს ნამდვილად შეუწყობს ხელს ბაზარზე მეტ კონკურენციას“, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

თუმცა, დეპუტატმა დასძინა, რომ თუ აღნიშნული კომპანიები შემოვლენ მხოლოდ მედიკამენტებით ვაჭრობის მიზნით, მაშინ მისთვის მათი შემოსვლის მიზანი და სარგებელი გაუგებარია.

გიორგი ბექაური

„წარმომეული ქონების უკან დაბრუნება ჩვენს ვალდებულებად რჩება“

ფრაქცია

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტის დატოვების მიზეზებზე ზაქარია ქუცნაშვილი კვლავ არ საუბრობს და ისევ დუმილის უფლებით სარგებლობს. კანონმდებელი იმ პოლიტიკურ მოტივებსაც არ ასაჯაროვებს, რის გამოც ის დღეს რიგითი დეპუტატია. თუმცა, for.ge ცოტა ხნის წინათ, ექსკლუზიურად წერდა, რომ ქუცნაშვილს დაკავებული თანამდებობა ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით დაატოვებინეს, რომელიც ამ პოსტზე გია ვოლსკიმ ჩაანაცვლა.

თუ რა გახდა ქუცნაშვილსა და ივანიშვილს შორის უთანხმოების მიზეზი, ამის გარკვევას for.ge ზაქარია ქუცნაშვილთან შეეცადა:

— რატომ დატოვეთ, ფრაქციის ხელმძღვანელის პოსტი?

— ჩემი გადაწყვეტილების მიზეზები ფრაქციის ყველა წევრისთვის ცნობილია და ამ საკითხზე, საჯაროდ საუბარს არ ვაპირებ.

— თუმცა, მიზეზები უცნობია საზოგადოებისთვის, რომელმაც თქვენ ნდობის მანდატი მოგანიჭათ. რატომ დაგიპირისპირდათ ბიძინა ივანიშვილი?

— თათბირის საიდუმლოება გარეთ არ გამომაქვს. თუ რა იყო მოტივები, ამის თაობაზე ყველა ჩემი კოლეგა ინფორმირებულია.

— რადგან, მიზეზებზე თქვენ არ საუბრობთ, გეტყვით, რომ for.ge-სთან კულუარულ საუბარში მმართველის გუნდის ლიდერებმა განაცხადეს, რომ თქვენ ივანიშვილმა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი შემოგთავაზათ, რაზეც უარი განაცხადეთ და ყოფილ პრემიერთან კამათი სწორედ ამიტომ მოგივიდათ...

— თავიდანვე გითხარით, რომ ამ საკითხზე საუბარს არ ვაპირებ, რადგან ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებულია ფრაქციის ყველა წევრი და კითხვა, რაც არ უნდა შეატრიალოთ, ამ საკითხზე პასუხს ვერ მიიღებთ!

— ფრაქციის თავმჯდომარე თქვენ აღარ ხართ, მაგრამ გკითხვათ, თუ ფლობთ ინფორმაციას მმართველი გუნდიდან კადრების შესაძლო გადინების თაობაზე? მათ შორის საუბარია, რომ შესაძლოა, სოსო ჯაჭვლიანმა, გოგი ქავთარაძემ, ვიქტორ ჯაფარიძემ და კიდევ რამდენიმე დეპუტატმა ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ძალის ქვეშ ფრაქცია შექმნან. გამორიცხავთ, თქვენი რიგების შეთხელებას?

— ფრაქციის ხელმძღვანელი 400 დღე ვიყავი და მხოლოდ ერთი დეპუტატი - კობა დავითაშვილი დავკარგე. რაც შეეხება აღნიშნული პირების მიერ ფრაქციის შექმნას, ამას გამოვრიცხავ, რადგან ეს ძველი ჭორია, რომელიც ექვსი თვეა, ტრიალებს. ფრაქციის შიგნით მოვლენები თუ როგორ განვითარდება, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ შენარჩუნდება კომუნიკაცია დეპუტატებს შორის. ერთიანი ფრაქციის მომხრე ვრჩები, რადგან მმართველი პარტია ვალდებულია, ნაკისრი ვალდებულებები ბოლომდე მივიტანოთ.

— თქვენი ოთხწლიან პროგრამაში წართმეული ქონების დაბრუნებაზეც იყო საუბარი, მაგრამ ეს პროცესი, ჯერჯერობით არ დაძრულა. რატომ?

— წართმეული ქონების დაბრუნება პროგრამის ნაწილი იყო და ჩვენც ეს დაპირება უნდა შევასრულოთ. წართმეული ქონების უკან დაბრუნება და პატიმრების რეაბილიტაცია ჩვენს ვალდებულებად რჩება, რისი შეუსრულებლობაც სავალალო პოლიტიკურ შედეგებს მოიტანს. მე და ჩემი მეგობრები, რომლებიც ძალიან ბევრი ვართ, ამ ხედვის ერთგულნი ვრჩებით.

— რა აფერხებს ამ პროცესის დაძვრას? ბიზნესმენები უკმაყოფილებას გამოთქვამენ და ხელისუფლებას ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაჩქარებას სთხოვენ...

— ხარვეზების დამდგენი კომისიის საქმიანობის ამოქმედებასთან დაკავშირებით, მთავარი მიზეზი, რაც მთავრობის მხრიდან დასახელდა, არის ის, რომ სამართლიანობის აღდგენა, შელახული უფლებების ფიქსაცია და სასამართლო გადაწყვეტილებები წარმოშობს პირისთვის მიყენებული მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. იქედან გამომდინარე, რომ ასეთი ბევრი ადამიანია, შეიძლება ზიანის ანაზღაურების მომთხოვნთა რაოდენობა ძალიან დიდი იყოს და ამ ტვირთის აწევას თუ რამდენად შეძლებს ქართული ეკონომიკა, ეს მოსაზრება მთლად უსაფუძვლო არ არის, მაგრამ მე და ჩემს მეგობრებს პოზიცია გვაქვს, რომ ამ ადამიანების უფლებების აღდგენა, რაც გამოიხატება ქონების ზიანის ანაზღაურებაში, შეიძლება დროში გაიწელოს, თუმცა, გრძელვადიანი გრაფიკი უნდა გაკეთდეს. ეს იქნება 10 წელი, 15 წელი თუ 17 წელი, ამ ადამიანებმა თავიანთი მოთხოვნა უნდა დაიკმაყოფილონ, რადგან მათ ზიანი სახელმწიფომ მიაყენა. თუ ეს პროცესი არ დავიწყეთ, თუ არ მოხდა პრობლემების ინვენტარიზაცია და თუ არ გაირკვა, ვის ვისი რამდენი მართებს, შესაძლოა, ამ ადამიანებმა თავი უფლებააყრილად მიიჩნიონ. ვფიქრობ, რომ ქართველ ადამიანს უფრო იურიდიული რეაბილიტაცია სჭირდება, ვიდრე ქონების დაბრუნება. ამიტომ, აუცილებელია, რომ ადამიანებმა თავი გაიმართლონ, თუ მართლები არიან, რაც მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას წარმოშობს. ხალხი მოითმენს, თუ მათ ეცოდინებათ, მათი სახელმწიფოს თუ რა მართებს. ამას ხალხი ერთი წელია ითმენს და ჩვენი არგუმენტებიც არ არის უსაფუძვლო, მაგრამ მთავრობის ფრთხილი დამოკიდებულება და პროგრამული დაპირება გადაიკვეთება და გამოსავალს ვიპოვით.

— რაც შეეხება უმცირესობის მიერ გამოცხადებულ პოლიტიკურ ბოიკოტს. ნაციონალები სოსო ჯაჭვლიანს კუთხური შუღლის გაღვივებაში ადანაშაულებენ და პარლამენტის თავმჯდომარეს პოზიციის დაფიქსირებას სთხოვენ. როგორ აფასებთ, ოპონენტთა პოლიტიკურ ტაქტიკას?

— ბარამიძე, რომელ კუთხეს მიეკუთვნება? კუთხური შუღლის გაღვივება, ორი კუთხის წაკიდებას ნიშნავს და ერთი სვანია, მაგრამ ბარამიძე?!

— ნაციონალები აცხადებენ, რომ რუსეთის გეგმებში შედის ვითარების დაძაბვა სამეგრელოში, სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში და მათი მტკიცებით, ნებსით თუ უნებლიედ, სოსო ჯაჭვლიანმა რუსეთს სამსახური გაუწია და კუთხური შუღლის გაღვივებას შეუწყო ხელი...

— ეს მოსაზრება პიარელემენტის ნაწილია და მცდარი ხედვაა. უმცირესობა ცდილობს არა სპეცოპერაციის გადაფარვას, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენა, არამედ ძალადობრივი აქტის გამართლებას. ბარამიძე რომელ კუთხეს წარმოადგენს, აბა დაასახელონ. აფრასიძის დანაშაული არც ერთ სასამართლოს არ ჰქონდა დამტკიცებული და სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება, რომ მისი ოჯახის წევრები საფრთხეში ჩაეგდო და ცეცხლი გაეხსნა. ნაციონალებს არ აქვთ უფლება, გადაჭარბებული ძალის გამოყენება გაამართლონ და ამით იამაყონ კიდეც.

სუფთა სამართლებრივი თვალსაზრისით, სვანეთში ძალისა და უფლებამოსილების გადამეტებას ჰქონდა ადგილი და ამით საფრთხე შეუქმნეს უდანაშაულო ადამიანებს. ბარამიძემ გაგვცეს პასუხი, ჰქონდა თუ არა სამართლებრივი საფუძველი აფრასიძის მიმართ და იყო თუ არა ის დამნაშავე?! ადამინი დამნაშავეც რომ იყოს, სახლემწიფო ვალდებულია, ის ოპერატიული ღონისძიებების გამოყენებით შეიპყროს და არა საომარი ტექნიკის საშუალებით. ჯაჭვლიანს განცხადების გაკეთებისას მხედველობაში არც უკრაინა ჰქონდა, არც კუთხური შუღლის გაღვივება და არც რუსეთისთვის სამსახურის გაწევა. ნაციონალებმა ძალადობრივი საქმიანობა გლობალურ პოლიტიკურ ასპექტებზე გადაიტანეს, თითქოს, ჯაჭვლიანი უკრაინაზე და რუსეთზე ფიქრობდა.

— როცა ძალისა და უფლებამოსილების გადამეტებაზე ისაუბრეთ. მაინტერესებს, რატომ არ დაკითხავს ბარამიძეს პროკურატურა?

— ეს პროკურატურას უნდა ჰკითხოთ. ყველას პასუხი მისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა მოჰკითხოს.

— თუმცა, თქვენ დეპუტატი ხართ და უფლება გაქვთ, პროკურატურას კითხვებით მიმართოთ...

— ამ შემთხვევაში, იმ ჰიბრიდული სისტემის შესახებ მოგეხსენებათ, რომლის გათვალისწინებითაც, ერთი მხრივ, პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მეორე მხრივ კი, დამოუკიდებელი სტრუქტურაა. გრძელვადიანი თვალსაზრისით, ან დამოუკიდებელ სტრუქტურაზე უნდა ვიფიქროთ, ან — პარლამენტთან ანგარიშვალდებულ უწყებაზე. ამ მხრივაც, ბევრი სამუშაო არის გასატარებელი. ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდება.

თეონა მანაგაძე

◎ აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

ვინ მამალია და ვინ – დედალი...

(ზეხუთე გვერდიდან)

უფრო მეტიც, 2009 წლის 9 აპრილს აგორებული საპროტესტო აქციებისას, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით ლამის 4 თვე გრძელდებოდა, დასავლეთის ემისრებმა დემოკრატიის შეურაცხყოფა უწოდეს პარლამენტის შენობისთვის 2-3 კვერცხის სროლას და დღეს იგივე ხალხი კიევის მაიდანზე ლამის ენგურჰესის კაშხალის ხელა კედლის აგებას, სახელმწიფო დაწესებულებების შტურმით აღებას დემოკრატიის უმაღლეს მშვიდობიან ფორმას უწოდებს და ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვს ძალის გამოუყენებლობას. მაშინ კი, როდესაც თბილისის „დემოკრატიის შეურაცხმყოფელ“ აქციებზე ზონდერბრიგადები მომიტინგეებს იტაცებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ეს ფარისეველი დასავლელი „დემოკრატები“ საკაშვილის დემოკრატიის შუქურას კაშკაშით იყვნენ დაბრმავებულები და რატომ ეს აშკარა ორმაგი სტანდარტი და ფარისევლობა? **იმიტომ, რომ თბილისის ქუჩებში 7 ნოემბრიდან, ვიდრე 26 მაისის სისხლიან კალომდე დასავლეთის, ამერიკის დასმულ-დაფინანსებულ რეჟიმს ებრძოდნენ, ხოლო დღეს კიევში პირიქითაა, დასავლეთის მიერ დაფინანსებული და ორგანიზებული ევრომაიდანი ებრძვის, იქნებ მრავალმხრივ ცოდვილს, მაგრამ მაინც ანტიგლობალისტურ და, აქედან გამომდინარე, ანტილიბერალურ იანუკოვიჩის რეჟიმს და ამიტომ „იხსნიან ვენებს“ დასავლელი ემისრები კიევის მაიდანზე...**

ამასობაში, სანამ მაიდანი დუღს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ერევანში ჩადის და რატომ? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემ, მკითხველს შევახსენებ, რომ მაშინ, როდესაც აშშ პრეზიდენტი ბუში თბილისს სტუმრობდა, ვლადიმერ პუტინი მაშინაც ერევანში ბრძანდებოდა და აი პასუხიც ზემოთ დასმულ კითხვაზე — მაშინაც, 2005-ში და დღესაც ვლადიმერ პუტინის ვიზიტები ერევანში რუსეთის მტერ-მოყვარისთვის იმის დემონსტრირება იყო, ვინ არის კავკასიის ნამდვილი „ხაზეინი“, და, მით უმეტეს, ასეა დღეს. მით უმეტეს, რადგან რუსეთი დღეს გაცილებით ძლიერია, ვიდრე 2005-ში იყო და სიძლიერის შესაფერი განცხადებაც გააკეთა — „რუსეთი კავკასიიდან არსად წასვლას არ აპირებს. პირიქით, ჩვენ გავაძლიერებთ რუსეთის ყოფნას რეგიონში“! ბრძანა რუსეთის მბრძანებელმა და სირიაში ამერიკელებისთვის „ნაჭმევი ალიყურის“ შემდეგ, სავარაუდოდ არა მხოლოდ რუსეთის მბრძანებელმა, არამედ ფორბსის უკანასკნელი გამოკითხვით მსოფლიოს ყველაზე გავლენიანმა პიროვნებამ...

ეს გზავნილი საქართველოსთვისაც კი არა, უწინარესად საქართველოსთვის იყო განკუთვნილი. ანუ, ბაქო, ერევანი მოგვარებული აქვს რუსეთს და მესამე ვინ დარჩა ნეტავ ამიერკავკასიაში? და ვინც დარჩა, ანუ საქართველო შეძლებს რეგიონში რუსეთის მიზნების წინააღმდეგ დგომას?

ამაზე არავინ ფიქრობს საქართველოში, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრი გვიმტკიცებს, რომ რუსეთს, უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები არ გააჩნიაო?! ორში ერთია, ან პრიმიტიული უვიცობაა, რასაც გამოვრიცხავ, მაგრამ მაშინ რაღა რჩება? საქართველომ უარი თქვა აფხაზეთ-ცხინვალზე? ასეთ შემთხვევაში რუსეთს მართლაც არავითარი სერიოზული ბერკეტები აღარ ჰქონია საქართველოზე ზემოქმედებისათვის და მკითხველმა განსაჯოს, მაია ფანჯიკიძის განცხადება თუ რას შეიძლება ნიშნავდეს!

ერთხელ, როგორღაც ევრაზიულ კავშირზე საუბრისას, ვლადიმერ პუტინმა დაახლოებით ასე ბრძანა — ევრაზიული კავშირი არა მხოლოდ ეკონომიკური პროექტია, არამედ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის საკუთარი თვითმყოფადობის, ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებელი გეოგრაფიული სივრცეც!..

სავარაუდოდ რუსეთი შესძლებს ევრაზიული პროექტის რეალიზებას, რომელიც უსაქართველოდ წარმოუდგენელია და, აქედან, გამომდინარე საქართველოს, ნებით თუ ძალით, მოუწევს ამ კავშირში შესვლა ან შეთრევა! ეს ობიექტური მოცემულობაა და არა ვინმეს სურვილი ან ახირება. თუმცა, ჩემს სურვილზედაც რომ იყოს, მე, როგორც 3 შვილიშვილის ბაბუა, აშკარად და შეუქცევადად პედერასტულ რელსებზე შემდგარ ევროპას მართლმადიდებელ რუსეთთან ერთად ევრაზიული კავშირის წევრობას ვარჩევდი, იმის მიუხედავად, ჩვენი ნებით მოხდება ეს თუ იძულებით, რადგან რუსეთია მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა ლგბტ-პედერასტობის პროპაგანდა. ამასთან ერთად თუ სოხუმ-ცხინვალში დაბრუნება ოდესმე მაინც გვიწერია, ამის გასაღებიც მოსკოვშია და არა პედერასტულ ბრიუსელში ან ვაშინგტონში და მიძახეთ ახლა მე რუსეთუმე თქვე ამერიკის მონებო — სოხუმ-ცხინვალის რა მოგახსენოთ, არა მგონია მოვესწრო, მაგრამ ჩემი შვილიშვილების გადარჩენის მოსწრება ნამდვილად შეიძლება და ამიტომ ვარჩევ დასავლეთის გარყვნილებას ევრაზიას, სადაც ჩვენი შვილები თვითონ კი არ აირჩევენ სქესს, არამედ ძველებურად გამჩენი ღმერთი დაადგენს, ვინ მამალია და — ვინ დედალი!

დავით მხეიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საკაშვილის პარტიას „შურისმაძიებელთა ჯგუფები“ სდევნიან

ქართველები, რომლებიც დაზარალდნენ წინა რეჟიმისგან, გაწბილებული არიან სამართლიანობის აღდგენის ტემპით

„ქართული ოცნების“ მიერ დაპირებული „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესი მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში დაზარალებულებთან დაკავშირებით, იმუქრება, გადაიქცეს უკონტროლო აქციებად. 16 დეკემბერს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ „შურისმაძიებელი მობილური ჯგუფების“ შექმნის შესახებ იმათი რიცხვიდან, ვისაც მიაჩნია, რომ მათი ცხოვრება დაამახინჯა წინა ხელისუფლებამ. სტიმულად იქცა იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადება, რომ მთავრობა ამ ეტაპზე არ იჩქარებს სპეციალური კომისიის შექმნას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდის სამართალდაცვის შეცდომების გამოსასწორებლად.

არგუმენტი ასეთია: **ეს მოითხოვს ბევრ მილიონს იმათი ქონების კომპენსაციისთვის, ვისაც ჩამოართვეს ბიზნესი ან უკანონოდ დევნიდნენ სასამართლოს მეშვეობით. ასეთი სახსრები ბიუჯეტს არ გააჩნია.**

ყოველკვირეული „ქრონიკის“ მონაცემებით, რომელიც მიღებულია სხვადასხვა დამოუკიდებელი წყაროებიდან, სულ ცოტა სამოცი ასეთი დაზარალებული უკვე შეუდგა „შურისმაძიებელთა“ პატარა მობილური ჯგუფების შექმნას. ამ ხალხმა უამბო გამოცემას, რომ დასაკარგი აღარაფერი აქვთ, რომ ისინი მზად არიან წავიდნენ ციხეებში, მაგრამ მოუწყონ „ნაციონალებს“ „ლინჩის სასამართლოები“.

მათ გეგმებში შედის მეტად რადიკალური მოქმედებებიც. მაგალითად, იმ ობიექტების მასობრივი გადაწვა, რომლების ექსპროპრიირებასაც ახდენდნენ. საკითხი შეეხება რესტორნებს, ბარებს, ბენზინგასამართ სადგურებს, სასტუმროებს, სუპერმარკეტებს.

თბილისში არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ წინა ხელისუფლების დროს არსებობდა ნოტარიუსების სპეციალური ჯგუფი, რომელიც ღამის საათებში ხელახლა აფორმებდა სახელმწიფო სარგებლობისთვის ან ნათესავებისთვის იმ ბიზნესმენების ქონებას, რომლებიც არ მოსწონდათ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მეწარმეებმა აშკარად დაიწყეს საუბარი, რომ იურიდიულ ხელშეკრულებებს ადგენდნენ „ნებაყოფლობით-იძულებითი წესით“. ახალ მთავრობას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია ეფექტიანად გაართვას თავი ასეთ საჩივართა მრავალათასიან შემოტევას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯერ-ჯერობით კომენტარს არ უკეთებს ცნობებს „შურისმაძიებელთა ჯგუფების“ შექმნის შესახებ.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ საზოგადოება „აფეთქების ზღვარზეა“.

— სიტუაცია შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს, თუ მასობრივად დაიწყება „სამართლიანობის აღდგენის“ დამოუკიდებელი მცდელობები, — მიაჩნია ქალბატონ ნანას. **— მაგრამ რა ხდება? პროკურატურა ინდიფერენტულია. აქვე დასავლეთი მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“, რომ „ნაციონალებისგან“ ლამის ხელუხლებელი ოპოზიციონერები გახადონ. საჭიროა, რომ მთავრობამ, ბოლოს და ბოლოს, გამოიჩინოს პოლიტიკური ნება.**

ამ არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით, 14 დეკემბერს თბილისის ცენტრში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც დაგმეს ხელისუფლების „ინერტულობა და პასიურობა“ და მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეიქმნას სამართალდაცვის შეცდომების დადგენისა და გამოსწორების კომისია.

— დავიცდით რამდენიმე კვირას. თუ ვერ ვიგრძნობთ, რომ საქმე დაიძვრება გაყინვის წერტილიდან, დავიწყებთ აქციებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, — ამბობს კაკაბაძე, **— ცინიკურია ამტკიცო, რომ არ არის ფული კომპენსაციისთვის. ჩვენ არა მხოლოდ ამას მოვითხოვთ, არამედ პატიოსნებისა და ღირსების აღდგენასაც.**

მოწოდებით — დააჩქარონ „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესი — „ქართულ ოცნებას“ მიმართა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმაც. მისი სიტყვებით, მითითება სახსრების უქონლობის შესახებ არ არის არსებითი და არ შეესაბამება „იმ ამომრჩეველთა ლეგიტიმურ მოლოდინებს, რომლებიც ხმას აძლევდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. ომბუდსმენმა განაცხადა, რომ სამართლიანობა წინა ხელისუფლების დროს გამოირჩეოდა „სისტემური გადახრებით“ და მოქალაქეებს ართმევდა კონსტიტუციურ უფლებებს.

— „ქართული ოცნება“ წელიწადზე მეტია ხელისუფლების სათავეშია, მაგრამ უმთავრესად მან ვერ შეძლო წარედგინა საზოგადოებრიობისთვის სწორი დადასტურებანი იმ „დანაშაულებათა სისტემური ხასიათის“ შესახებ, რომელიც, თითქოსდა პრაქტიკაში იყო სააკაშვილის დროს, — უთხრა ჩვენს გაზეთს დეპუტატმა — „ნაციონალმა“ ნუგზარ წიკლაურმა. **— არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ „მეოცნებეები“ უბიძგებენ რომელიღაც ჯგუფებს აქტიურობისკენ. მაგრამ გვერწმუნეთ, ასეთი „აქტივიზაცია“, ასეთი „ლინჩის სასამართლოები“ ანდა მოწოდებებიც კი „ქართულ ოცნებას“ ბუმერანგად დაუბრუნდება. მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის იქით ამას მოჰყვება შესაბამისი რეაქცია, ვინაიდან ასეთი მოქმედებანი მოგვაგონებს დევნას პოლიტიკური მოტივებით. და სწორედ მხოლოდ ეს თიშავს საქართველოს ევროპისგან.**

სტიქიური პროტესტების საფრთხის გრძნობა უკვე არის „ქართულ ოცნებაშიც“. საქართველოს პარლამენტმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურას მოწოდებით, გამოიძიოს „სიტყვასა და შეკრებებზე უფლებების მასობრივი დარღვევები, სამართალდაცვის სამართლიანობის, საკუთრებაზე, სხვის ცხოვრებაში ჩარევის, მკვლელობების, პატიმართა წამების, 2004-2012 წლებში მშვიდობიანი მანიფესტაციების მკაცრი დარბევის შემთხვევები“. ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტმა შეისწავლა ამასთან დაკავშირებული 20 ათასზე მეტი მიმართვა.

2012 წლის პარლამენტის არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება უმეტესწილად მოუტანა დაპირებებმა, რომ აღადგენენ სამართლიანობას ქვეყანაში.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

სამხრეთ სუდანში სამხედრო გადატრიალების მცდელობის შედეგად დაიღუპა 7კაცი და 100-ზე მეტი დაიჭრა

1300-ზე მეტი კაცი დაიმალა გაეროს მისიის ტერიტორიაზე ჯუბაში, უცხოეთის მისიასთან არსებულ საავადმყოფოს მიმართა 9 კაცმა, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით არიან დაჭრილი, მათ შორის 4 ბავშვია. სამხრეთი სუდანის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ გადატრიალების მცდელობა ჩაიშალა.

ჰეიგელმა შოიგუს აცნობა: ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განლაგებას, მიუხედავად ირანთან დაკავშირებით მიღებული შეთანხმებისა

ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებათა ხელმძღვანელებმა ორშაბათს პირველად გამართეს საუბარი ტელეკონფერენციის რეჟიმში. მათ განიხილეს „ისეთი საკითხები, როგორებიცაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, სირია, კიბერუსაფრთხოება და ბრძოლა თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებთან“.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კიმ ჩენ ინის ბიძის სიკვდილით დასჯის შემდეგ დაიწყო შემოწმებები ქუჩებში, ამტკიცებს სამხრეთი კორეის პრესა

როგორც სამხრეთი კორეის პრესა ამტკიცებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წყაროებზე მითითებით, დოკუმენტების შემოწმებები ფხენიანის ქუჩებში ისეთი ხშირი გახდა, რომ „ძნელია გადააადგილდე თუნდაც ას მეტრზე“. ჩამოსულებს თითქოს უბრძანეს დაეტოვებინათ დედაქალაქი, ქვეყნის მოქალაქეები მუდმივ შიშში ცხოვრობენ, ეშინიათ მასობრივი დაპატიმრებებისა და სიკვდილით დასჯისა.

პრინცესა დიანას გარდაცვალება უბედურ შემთხვევად რჩება: სკოტლანდ-იარდმა ვერ აღმოაჩინა სპეცრაზმის მონაწილეობის დადასტურება

ლონდონის პოლიციამ დაამთავრა იმ ახალი მონაცემების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებული არიან ლედი დის გარდაცვალებასთან და რომელთა თანახმადაც, მის სიკვდილში 16 წლის წინათ შეიძლება მონაწილეობა მიეღო სპეცრაზმს. პოლიცია მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობს არანაირი დადასტურებული ცნობა განგებ ჩადენილი დანაშაულისთვის, მაშასადამე, არ არის საფუძველი გამოძიების განახლებისთვის.

◎ დასვენება

„თეთრი“ ტურიზმი ერთბაშად გაძვირდა

მთელი საქართველოს მასშტაბით ნაადრევად მოსულმა თოვლმა უამრავი პრობლემა შექმნა, მაგრამ თეთრი ტურიზმის მიმდევრები კი ძალიან გაახარა. ქვეყნის მაღალმთიან კურორტებზე უკვე გაცხარებული მიმოსვლაა. მოთხოვნა დიდია, შესაბამისად, ფასებიც გაზრდილია.

შემომყვან ტურ-ოპერატორთა ასოციაციის ინფორმაციით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ზამთრის კურორტებთან დაკავშირებით მარკეტინგული კამპანია შესუსტებულია. მათი ვარაუდით, უცხოელები დეკემბრის ბოლოდან გააქტიურდებიან. მათი თქმით, დასავლეთ ევროპა ყველაზე სტაბილური ბაზარია ქართული ტურიზმისთვის. სამაგიეროდ, წლეულს რუსეთიდან ძალიან გაზრდილია ინტერესი და გუდაურსა და ბაკურიანში ადგილები უკვე დაჯავშნილია.

ასოციაცია ზამთრის კურორტებზე არსებულ ინფრასტრუქტურაზეც საუბრობს და ამბობს, რომ ბაკურიანი ბევრი კუთხით მისასვლელია, დასახვეწია კვების ობიექტების, საბაგირომდე მისასვლელი გზების, შიდა ტრანსპორტის საკითხები. ასოციაციის განცხადებითვე, ამ კუთხით გუდაურში უკეთესი მდგომარეობაა.

გუდაურის ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე მამუკა ბურდული კი აცხადებს, რომ ბოლო ორი წელია, სამთო-სათხილამურო კურორტზე ტურისტების ნაკადის უჩვეულო ზრდა შეიმჩნევა, წელს კი მათმა რაოდენობამ პიკს მიაღწია, ძირითადად, რუსეთის მოქალაქეების ხარჯზე.

„სოჭში, ზამთრის ოლიმპიადის გამო, როგორც ჩანს, დასვენების შესაძლებლობა შეზღუდულია. ამიტომ რუსი ტურისტები საქართველოში გადმოდიან, ბევრი სტუმარია ჩრდილოეთ კავკასიიდან, ოსეთიდან, ჩეჩნეთიდან, კრასნოდარისა და როსტოვის მხარეებიდან. 15 იანვრამდე ერთ თავისუფალ ადგილს ვერ ნახავთ გუდაურში. სასტუმროების დიდი ნაწილი მარტამდეც დაჯავშნილია“, — განაცხადა მამუკა ბურდულმა.

მისი თქმით, ტურისტების სიმრავლესთან ერთად საკურორტო სეზონის გახანგრძლივების ტენდენციაც შეიმჩნევა. **„წელს დამსვენებლები აპრილშიც კი ამოვიდნენ. ამ დროს გუდაურში თოვლი ყოველთვის მოდის, მაგრამ არავინ გვსტუმრობდა ხოლმე“,** — აღნიშნა ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება ფასებს, გუდაურსა და ბაკურიანში დასვენება 15-20%-ით გაძვირდა.

შარშანდელთან შედარებით ფასებს შორის სხვაობა, დაახლოებით, 80 ლარია. წლეულს ბაკურიანსა და გუდაურში ამ სეზონზე დასვენება ბევრად უფრო მეტი ღირს, ვიდრე შარშან, სხვაობა საკმაოდ თვალშისაცემია. როგორც ტურისტული კომპანიები და სასტუმროს წარმომადგენლები აცხადებენ, ამჟამად გუდაურსა და ბაკურიანში 2-ადგილიანი ნომრის ღირებულება 60 ლარიდან იწყება და 500 ლარამდე აღწევს. ფასი მომსახურების პირობებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით განისაზღვრება.

ტარიფების ზრდაზე საუბრობენ ტურისტულ კომპანიებშიც და პარალელურად გამომწვევ მიზეზებსაც ასახელებენ.

„შარშანდელთან შედარებით, წლეულს დასვენება გუდაურსა და ბაკურიანში გაძვირდა. მიზეზად პროდუქტზე, საწვავზე ხარჯების ზრდა სახელდება. გარდა ამისა, ფასებს მოუმატეს სასტუმროებმაც. სხვაობა 15-20%-ია. მაგალითად, სასწაულ თანხებს ითხოვენ გუდაურში მდებარე „მარკო პოლოში“ და „კარპე დიემაში“. შარშან ასეთი გაბერილი ფასები არ იყო, რაც წელს არის. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ წლევანდელ სეზონზე დამსვენებელთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია“, — აცხადებენ ტურისტულ კომპანია „კალიფსო თრეველში“.

ფასების ზრდას ადასტურებენ გუდაურში მდებარე სასტუმრო „მარკო პოლოშიც“. როგორც ირკვევა, სხვაობა, წინა წელთან შედარებით, საკმაოდ დიდია.

„ჩვენთან 2-ადგილიანი ნომრის ღირებულება 413 ლარია. შარშან მისი ფასი კი 350 ლარამდე იყო დასული. ნახევრადლუქსი ფასი ორ ადამიანზე 450-ის ნაცვლად, წელს 521 ლარამდეა გაზრდილი. რაც შეეხება საოჯახო ნომერს, იგი 4 პირზეა გათვლილი და ფასი 696 ლარს აღწევს. 2012 წელს მისი ღირებულება 550 ლარი იყო. რაც შეეხება დამსვენებლებს, მათი აქტივობა ამ თვეში საკმაოდ დიდია“, — განაცხადეს გუდაურში მდებარე სასტუმრო „მარკო პოლოში“.

ასეთი ფასების ფონზე, ნათელია, რომ ზამთრის კურორტებზე მდებარე სასტუმროების აბსოლუტური უმრავლესობა უცხოელებზეა გათვლილი. ქართველები ვერც ბაკურიანში და მით უფრო ვერც გუდაურში დასვენებას ვერაფრით ვერ მოახერხებენ.

ეკა ბაძრაძე

◎ პატივგება

„დასცხეთ დაფდაფებს, მიაჩუმეთ სიკვდილის მარში“

სიღნაღში შალვა მჭედლიშვილის ბიუსტი დაიდგა

**„დასცხეთ დაფდაფებს და
სანთლების სევდიან ალში
ააფრიალეთ ქრისტეს ხატით
ნაქარგი დროშა!
დასცხეთ დაფდაფებს,
მიაჩუმეთ სიკვდილის მარში,
მეორედ მოსვლა მოახლოვდა,
მეორედ მოსვლა!“**

სიღნაღში საზეიმოდ გაიხსნა საზოგადო მოღვაწის, დისიდენტის, ექიმის, მწერლისა და პოეტის შალვა მჭედლიშვილის (1923-2007 წწ.) ბიუსტი. იგი აღიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ძალისხმევით და ბატონი შალვა მჭედლიშვილის 90 წლის იუბილეს მიეძღვნა. კვარცხლბეკზე გამოსახულია ნაწყვეტი მისი ლექსიდან.

ბიუსტის გახსნას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მწერლები, სასულიერო პირები, ოჯახის წევრები. სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს პოეტ შალვა მჭედლიშვილის ლექსები. ბიუსტი პოეტის მეგობრის იორამ ღუდუშაურის დიდი მონდომების შედეგად დაიდგა.

შალვა მჭედლიშვილს მრწამსის გამო დევნიდა საბჭოთა ხელისუფლება. იყო რეპრესირებული და მრავალი წელი პატიმრობასა და გადასახლებებში გაატარა. გაასამართლეს საბჭოთა კოდექსის 58/10/11 მუხლით, რაც ნიშნავდა ანტისაბჭოთა აგიტაცია-ორგანიზაცია-პროპაგანდას.

მის ერთ-ერთ ლექსში „მეორედ მოსვლა“, არის ასეთი სტრიქონები —

ლექსი პოეტის სახლში ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს. იგი კგბ-ს არქივში დღემდე ინახება „სამუდამოდ შენახვის“ მინაწერით.

შალვა მჭედლიშვილი „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს. მან დახვრეტის მუხლით 2 წელი სუკი-ს ციხეში (1945-1947 წწ.) გაატარა, ომის დამთავრების შემდეგ სამუდამო გადასახლება მიესაჯა ვორკუტასა და ყარაგანდაში.

50-იანი წლების დასასრულს შალვა მჭედლიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა, დედაქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მკურნალ ექიმად საქართველოს სხვადასხვა კურორტზე.

თამარ შაიშმელაშვილი,

სურათზე: შალვა მჭედლიშვილის ბიუსტი სიღნაღში.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კომუნალური ვაუჩერები

დახმარება ცივ ზამთარში

დედაქალაქის მოსახლეობისთვის მერიის მიერ გაწეული საყოველთაო დახმარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, ეგრეთ წოდებული „კომუნალური ვაუჩერების პროგრამა“, რომელიც წლეულს ხორციელდება, გაისადაც გაგრძელდება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაისად თბილისის ყველა კომუნალურ აბონენტს მოხმარებული ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების საფასურის ფიქსირებული გადასახადებისთვის, წლის განმავლობაში ხუთ თვეზე გადანაწილებული 100-100 ლარი დაერიცხება. ამავე სისტემით პროგრამა წლეულს ხორციელდება: თითოეულ აბონენტზე განსაზღვრული ასი ლარიდან პირველი 60 ლარი იანარ-თებერვალ-მარტზე, დანარჩენი 40 ლარი კი ნოემბერ-დეკემბერზე გადანაწილდა. თუ როგორ გადანაწილდება ეს თანხა გაისად, თბილისის მერიაში ეს საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება, თუმცა კი მთავარი ისაა, რომ ეს ხარჯი 2014 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია. ყოველთვიურად დარიცხული 20 ლარიდან, 8,45 ლარით იფარებოდა აბონენტის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადის ნაწილი, 8,40 ლარი კი დასუფთავების გადასახადზე იყო გათვალისწინებული. ბუნებრივია, რომ დარჩენილი 3,15 ლარი სასმელი წყლის გადასახადისთვის იყო გათვალისწინებული, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ტარიფი ოჯახის მხოლოდ ერთი წევრის დავალიანებას ფარავდა, რადგან, როგორც ცნობილია, აღნიშნული გადასახადის ოდენობა აბონენტის სულადობით განისაზღვრება. გარდა ამისა, კომუნალური ვაუჩერების პროგრამით წლეულს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დამატებით გათვალისწინებული იყო 150-ლარიანი ვაუჩერი.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნალური ვაუჩერების პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით, წლის დამდეგს თბილისის მერიაში ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ამ პროექტის განხორციელებით დედაქალაქის მოსახლეობა ორნახევარჯერ მეტ შეღავათს მიიღებდა, ვიდრე ქვეყნის მთავრობის მიერ ტარიფების შემცირების შედეგად. მაშინ ლაპარაკი იყო იმის თაობაზეც, რომ კომუნალურ გადასახადებზე ტარიფების შემცირების სამთავრობო ინიციატივაში ყველა შესაძლებლობის გადამხდელი ერთნაირი შეღავათით ისარგებლებდა, რაც სოციალურად აშკარად არასამართლიანია და ეს მართლაც ასე იყო. მოგვიანებით კი დაზუსტდა, რომ კომუნალური ვაუჩერების პროგრამა, ასე ვთქვათ, „სეზონური ნიშნით“ გაიყოფა და სეზონურად ყველაზე ცივ პერიოდს იანვრიდან მარტამდე და შემდგომ ნოემბერ-დეკემბერს მოიცავს.

ასე თუ ისე, ყოველგვარ პოლიტიკურ ქვეტექსტებს თავი რომ დავანებოთ, ფაქტი ერთია, რომ ეს ბევრისთვის საკმაოდ შეღავათიანი პროექტი გაისადაც გაგრძელდება და ასევე ხუთ თვეზე იქნება გათვლილი, ოღონდ მიზნობრივად გადასახადების ოდენობის განსაზღვრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანებით მოხდება, თუმცა კი პროგრამის კონკრეტული ვადები უკვე ცნობილია და, ისევე როგორც წლეულს, იანვარ-თებერვალ-მარტში დაიწყება და შემდგომ ნოემბერ-დეკემბერში გაგრძელდება.

თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მამუკა ქაცარავას განცხადებით, წლევანდელისგან განსხვავებით, გაისად რამდენადმე შეიცვლება ყოველთვიური 20-ლარიანი კომუნალური ვაუჩერების გადანაწილების პრინციპი.

— უწინ დასუფთავების გადასახადი გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადზე იყო მიბმული, შემდეგ ისინი კვლავ გაიყო, ამდენად ამჟამად ვაუჩერის თანხის სხვა გადანაწილების სქემაზე ვმუშაობთ, — განაცხადა მან. — ამასთან, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, კერძოდ, რომელთა სარეიტინგო ქულათა ოდენობა 70 ათასზე ნაკლებია (ასეთი კი თბილისში 44 ათასია), აღნიშნულ კომუნალურ ვაუჩერებთან ერთად პირად ანგარიშზე ისევე, როგორც წელს, 150 ლარი ჩაერიცხებათ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რაგბი

ზამთრის არდადეგების წინ

კიდევ ერთი ტური და საქართველოს მორაგბეთა XXIV ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდები კარგა ხნით დაისვენებენ. რაც შეეხება მე-11 ტურის ცენტრალურ მატჩს, ბოლნისის "ყოჩები" „ჯიქებს" დაუპირისპირდა. უამინდობის მიუხედავად, პაექრობა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, თუმცა, ძლიერმა ქარმა მორაგბეებს ბევრი ტექნიკური წუნი დააშვებინა. პირველ ტაიმში „ჯიქები" ზუსტი საჯარიმო დარტყმით დაწინაურდა და შესვენებამდე ეს ანგარიში არ შეცვლილა. ორთაბრძოლის მეორე ნახევარში „ყოჩები" გააქტიურდა და 10:3 გაიმარჯვა, რითაც საპლეიოფო ექვსეულში დაბრუნდა.

„ლელომ" ოთხი ლელო გაუტანა „აკადემიას", 32:0 მოიგო შეხვედრა, საპრემიო ქულაც დაიმსახურა და სატურნირო ცხრილის სათავეშიც მოექცა. .ექვსეულისთვის მებრძოლი „არმაზისა" და „ლოკომოტივის" შეხვედრის დასაწყისში გუნდებმა თითო ჯარიმა გაიტანეს, მერე რკინიგზელთა უპირატესობა გამოიკვეთა. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი წიკლაურმა არეკნით დაანინაურა, 23-ე წუთზე კი გასვიანმა ლელო ჩაიწერა აქტივში. . სამ წუთში თანაგუნდელს წიკლაურმა აუბა მხარი — ჯერ ლელო გაიტანა, მერე გარდასახვაც ზუსტად შეასრულა — 18:3. შესვენების შემდეგ „არმაზი" გამოცოცხლდა, მაგრამ დანაკლისის ანაზღაურება ვერ შეძლო და 17:31 დამარცხდა. მოლოდინისამებრ, თბილისის „არმიამ" რუსთავის „ხარებს" წარმატების იოტისოდენი შანსიც კი არ დაუტოვა და 29:9 გაიმარჯვა. ქუთაისის „აიას" და „ბათუმის" მატჩი თოვლისა და ყინვის გამო გადაიდო. შაბათ-კვირას მორიგი ტურის თამაშები გაიმართება, რის შემდეგაც გუნდები კარგა ხნით შეისვენებენ.

1. ლელო	11	8	0	3	279-138	39
2. ლოკომოტივი	11	8	0	3	255-192	36
3. აია	10	8	0	2	207-121	36
4. არმია	11	7	1	3	285-183	36
5. ყოჩები	11	6	1	4	254-220	30
6. ჯიქები	11	5	2	4	230-173	29
7. არმაზი	10	6	0	4	190-206	26
8. ხარები	11	1	0	10	125-267	7
9. აკადემია	11	1	0	10	112-289	7
10. ბათუმი	9	1	0	8	135-283	6

21-22 დეკემბერი. „აკადემია" — „ყოჩები", „ჯიქები" — „არმაზი", „ლოკომოტივი" — „აია", „ბათუმი" — „არმია", „ხარები" — „ლელო".

ლექსო ცინცაძე

◎ ცურვა

უკრაინიდან - 9 მედლით

საქართველოს 1999-2002 წლებში დაბადებული 15 სპორტსმენი მონაწილეობდა უკრაინის მოცურავეთა ღია ჩემპიონატში (მწვრთნელები — გიორგი აბზიანიძე, ნინო გოგინაშვილი, გია მთვრალაშვილი, დავით გელაშვილი). ჩვენმა გოგო-ბიჭებმა 9 მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით რუსთაველმა რუსუდან გოგინაშვილმა იყოჩაღა, რომელმაც 200 მეტრზე ბრასით ოქროს მედალი მოიპოვა, ამავე დისციპლინით 100 მეტრსა და კომპლექსური ცურვით 200მეტრზე მეორე ადგილები დაიკავა, თანაგუნდელებთან (მერი მუმლაძე, ელენე ბერაია, ლიკა ჭიხორია) ერთად 4X50 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი და კომბინირებული ცურვითაც მეორე იყო. ირაკლი კვარაცხელია (თბილისი) — 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდითა და კომპლექსური ცურვით — მესამე ადგილები, ლევან ბახტაძე (საჩხერე): 100 მეტრი ბრასით — ვერცხლი, მერი მუმლაძე (თბილისი): 200 მ თავისუფალი ყაიდით— ბრინჯაო.

ლელა ცივაძე

◎ ძიუდო

„შევარდენმა" გაინავარდა

ოლიმპიური ჩემპიონის — შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში კიმონოიანთა პირველი საკლუბო ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებაში 1998-1999 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ეს ის ასაკია, რომელიც 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება. განსაკუთრებით „შევარდენი 2005"-მა იყოჩაღა, რომელიც გურამ მოდებაძის შეგირდებით იყო დაკომპლექტებული. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში მან ზედიზედ სძლია თბილისის „ავიატორს", ზესტაფონის „ფალავანს", მარნეულის თენგიზ ნავერიანის სახელობის ძიუდოს კლუბის წარმომადგენლებს, თბილისის „ლიდერს" და პირველი ადგილი დაიკავა, მეორე იყო „ლიდერი", .ბრინჯაოს მედალს თენგიზ ნავერიანის სახელობის ძიუდოს კლუბი დაეუფლა. საქართველოს ჩემპიონები 3 ათასი, ვერცხლისმედალოსნები 2 ათასი, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორები ათასი ლარით დაჯილდოვდნენ.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

მიხეილ გაბრიჩიძემ ახალი გუნდი წარადგინა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კალათბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ პრესკონფერენცია გამართა, ახალი გუნდი წარადგინა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ამიერიდან კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშეები კახა შენგელია და ვლადიმერ ბოისა იქნებიან, გენერალურ მდივნად კი იურისტი გიორგი ქართველიშვილი იმუშავებს.

მიხეილ გაბრიჩიძემ პრესკონფერენციაზე ფედერაციაში უახლოეს პერიოდში განსახორციელებელ პროექტებზე ილაპარაკა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხსაც შეეხო. გაბრიჩიძის თქმით, მთავარი მწვრთნელის საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს და საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფალავნობა

აბა, ცირკში მნახე, ვინა ვარ

პაატა ღვინიაშვილი საქართველოს 2013 წლის ფალავანია

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ქართული ჭიდაობა ცირკს დაუბრუნდა — აქ საქართველოს 2013 წლის ფალავნობა გაიმართა. ორგანიზატორებმა სარბიელი ამაღლებულ სცენაზე მოაწყვეს, რითაც მოჭიდავეები რისკის წინაშე დააყენეს, ამიტომაც წრის კიდეზე მისული მორკინალები ფანდების შესრულებას ერიდებოდნენ. ამის მიუხედავად, ორთაბრძოლები საინტერესოდ წარიმართა. 11-საათიანი საჭიდაო დღე პაატა ღვინიაშვილის გამარჯვებით დასრულდა: ქარელელმა სპორტსმენმა ფინალში ხაშურელი გიორგი ნოზაძე დაამარცხა და საქართველოს 2013 წლის ფალავნის ტიტული მოიპოვა. ამ გამარჯვებისთვის იგი „მერსედესის" მარკის ავტომობილით დაჯილდოვდა.

ასპარეზობის დებულების თანახმად, ფალავნობის დაწყებამდე ჩემპიონ-პრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში (80, 90, 100 და +100 კგ) გამოვლინდნენ. ნახევარფინალისტებმა მთავარი ტიტულისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

80 კგ. 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. გიორგი პაპუნაშვილი (გორი), 3 გიორგი მახარაშვილი (მცხეთა).

90 კგ. 1. ბექა ღვინიაშვილი (გორი), 2. პაატა ღვინიაშვილი (ქარელი), 3. დავით კარბელაშვილი (გორი).

100 კგ. 1. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 2. დავით ლორიაშვილი (გარდაბანი), 3. იოსებ მსხალაძე (ქარელი).

+100 კგ. 1. ლევან მატიაშვილი (საგარეჯო), 2. ონისე ბუღაძე (საჩხერე), 3. როსტომ ხახალეიშვილი (ქუთაისი).

ფალავნობა. 1. პაატა ღვინიაშვილი, 2. გიორგი ნოზაძე, 3. ბექა ღვინიაშვილი

გივი გაგუა

◎ სანქცია

FIFA-ს მკაცრი სასჯელი: შიმუნიჩი მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს



იოსიპ შიმუნიჩს 2013 წლის 16 დეკემბერი კარგად ნამდვილად არ დაამახსოვრდება. ამ დღეს ვეტერანმა ხორვატმა მცველმა შეიტყო, რომ ის მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფლეი ოფის განმეორებითი თამაშის შემდეგ ისლანდიელთა ძლევით გახარებულმა შიმუნიჩმა მიკროფონი მოითხოვა და სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივრებთან ერთად ხორვატული ფაშისტური მოძრაობის, Ustase-ს შეძახილი „Za dom spremni" რამდენჯერმე გაიმეორა.

FIFA-ში მომხდარის შესწავლა მალევე დაიწყეს და ცოტა ხნის წინათ დაადგინეს, რომ შიმუნიჩის მხრიდან ადგილი დისკრიმინაციულ ქცევას ჰქონდა, რის გამოც 35 წლის ფეხბურთელს 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. სასჯელი ხორვატეთის ნაკრების მიერ ჩასატარებელ ოფიციალურ მატჩებს ეხება, რაც იმას ნიშნავს, რომ დისკვალიფიკაციის ათვლა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველი მატჩიდან დაიწყება.

შიმუნიჩის ასაკისა და იმის გათვალისწინებით, რომ ხორვატეთი 10 ოფიციალური თამაშის ჩატარებას დროის მოკლე მონაკვეთში ვერ მოასწრებს, შეიძლება ითქვას, რომ ზაგრების „დინამოს" გამოცდილი მცველი სანაკრებო კარიერის დასრულებასთან ძალიან ახლოსაა.

გიორგი ზოთაძე

გუბერნატორებო, სწორდით! გუბერნატორებო, სმენა!

◎ კადრები

ნაციონალების დროს გუბერნატორების ინსტიტუტი ცემა-ტყეპისა და პოლიტიკური გარჩევების ასპარეზი იყო. ეს ინსტიტუტი განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდებოდა და მოწინააღმდეგეებთან გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადებოდა. ადამიანებს გზაში სვდებოდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ თუნდაც იმის გამო, რომ მათ „ქართული ოცნების“ მაისურები ეცვათ. მაგალითად, სოფელ ჩალაუბანში, კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამა „კარდაკარის“ მონაწილე ილია სულიაშვილი იხსენებს, რომ ის კახეთის გუბერნატორის ნათესავმა „ქართული ოცნების“ წევრობისთვის სცემა. ასეთი შემთხვევები კი არაერთი იყო.

ნაციონალები გუბერნატორად პარტიულ აქტივისტებს ნიშნავდნენ: ზურაბ ჭიაბერაშვილი, ზაზა გოროზია, დავით კირკიტაძე, გიორგი ღვინიაშვილი, თენგიზ გუნავა, ვახტანგ ბალავაძე, ლადო ვარძელაშვილი და სხვანი. ზოგიერთი მათგანი გუბერნატორობისას ხელფასზე ორჯერ მეტ პრემიას იღებდა. თუმცა, გუბერნატორებმა, რომლებმაც ხალხს თავი პოლიტიკური დავალებების პირნათლად შესრულებით დაამახსოვრეს, თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დაწერეს.

დღეიდან კი საქართველოს ცხრა რეგიონს ახალი გუბერნატორი ჰყავს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახალი გუბერნატორების ვინაობა დაასახელა, რომლებიც მისი წარდგინებით მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა.

როგორც ირკვევა, ახალი გუბერნატორები ძირითადად ძალოვან უწყებებსა და ეკონომიკის სფეროში ნამუშევარი ხალხია.

ქვემო ქართლი — გიორგი მღებრიშვილი (იურისტი, მუშაობდა სამართალდამცავ სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე);

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი — პარმენ მარგველიძე (ეკონომისტი);

სამხე-ჯავახეთი — აკაკი მაჭუტაძე (საგარეო-ეკონომიკური მიმართულების სპეციალისტი. მუშაობდა სამართალდამცავ და საფინანსო სტრუქტურებში;)

სამეგრელო-ზემო სვანეთი — ლევან შონია (სამართალმცდონე, ვახტანგ გორგასლის ორდენის ორგზის კავალერი და ღირსების ორდენის კავალერი);

იმერეთი — ზაზა მეფარიშვილი (ინჟინერ-ტექნოლოგი. აქვს მიღებული იურისტის და ბუღალტერ-ფინანსისტის კვალიფიკაცია);

კახეთი — ირაკლი შიოლაშვილი (იურისტი); დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი.

მცხეთა-მთიანეთი — ნუგზარ ყიფიანი (რეჟისორი);

შიდა ქართლი — ზურაბ რუსიშვილი (საგარეო ურთიერთობების მართვის სპეციალისტი, ფინანსისტი);

გურია — გიორგი ჩხაიძე (ეკონომისტი);

ქვემო ქართლის გუბერნატორის წარდგენისას ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სამართალდამცავ ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობისას გიორგი მღებრიშვილი მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა.

„პატრიოტი და კარგი მენეჯერი“, — ასე დაახასიათა პრემიერ-მინისტრმა სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე აკაკი მაჭუტაძეც, რომელიც სამცხე-ჯავახეთში გახლდათ სახელმწიფო რწმუნებული. იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების საგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსიც იყო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დანიშნული ლევან შონიას შესახებ კი პრემიერმა აღნიშნა, რომ მისი მინისტრობის დროს იგი გამორჩეული სამხარეოს უფროსი იყო, დღესაც მაღალი ავტორიტეტი რომ აქვს სამეგრელოში და თავის დროზე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. უფრო კონკრეტულად, 1999- 2004 წლებში ლევან შონია შსს-ს გულუას სახელობის პოლიციის სპეცდანიშნულების სამსახურის უფროსი გახლდათ.

რაც შეეხება იმერეთის გუბერნატორად დანიშნულ ზაზა მეფარიშვილს, ამ თანამდებობამდე ის შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტის) დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი იყო და ირაკლი ღარიბაშვილმა ის კარგ ორგანიზატორად მოიხსენია. ასეთივე მაღალი შეფასება მისცა სხვა გუბერნატორებს.

ამასთან, მათ 24-საათიანი მუშაობისა და რეგიონის პრობლემის ადგილზე გაცნობისკენ მოუწოდა. პრემიერის თქმით, მთავრობის ამოსავალი წერტილი თითოეული მოქალაქე უნდა იყოს და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ გუბერნატორებს, რათა რეგიონებში დაწყებული ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტები წარმატებით, ეფექტურად და დროულად განხორციელდეს.

თავის მხრივ, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გუბერნატორის ინსტიტუტი აბსოლუტურად უმოქმედო იყო, ამიტომ საჭიროა მისი გამოღვიძება და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს შორის კოორდინაციის არსებობა.

ახალი გუბერნატორების წარდგენას გულგრილი არ დაუტოვებია იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ვახტანგ ბალავაძე. იგი დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსის ზაზა მეფარიშვილის დანიშვნას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „გასაოცარი ის არის, რაზეც ჩვენ გვაკრიტიკებდნენ, იმას აკეთებენ თვითონ. დანიშნული ცხრა გუბერნატორიდან უმრავლესობა ძალოვანი უწყების თანამშრომელია. სამწუხაროა, რომ იმერეთშიც ამ თანამდებობაზე „სუს“-ის (სახელმწიფო უშიშროების სამსახური) ქუთაისის უფროსი დანიშნეს“.

„თანამდებობებზე ნათესავებსა და მეგობრებს ნიშნავენ“, — ასე გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წევრი ირმა ნადირაშვილი გუბერნატორების დანიშვნის საკითხს.

დეპუტატის ამ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ აბაშიძის პასუხი მოჰყვა. მას მიაჩნია, რომ არანაირ ნეპოტიზმს ადგილი არ აქვს და, ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორის თანამდებობაზე ის ადამიანები შეარჩია, რომელთა საქმიანობასაც იცნობს.

ის ფაქტი, რომ ახლად წარდგენილი გუბერნატორებიდან რომელიმე ძალოვან უწყებაში მუშაობდა, კრიტიკის საფუძვლად არ მიაჩნია პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას. იგი ფიქრობს, რომ პრემიერის არჩევანი განპირობებულია რეგიონის საჭიროებებით.

For.ge-სთან საუბარში ექსპერტი და მცხეთა–მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე აცხადებს, რომ ნაციონალების დროს ნებისმიერი ინსტიტუტი, მათ შორის, გუბერნატორების ინსტუტუტი ადამიანების დარბევის, ცემა-ტყეპისა და სისხლის სამართლის დანაშაულთან ასოცირდებოდა. იგი ფიქრობს, რომ ახალი თვითმმართველობის კანონი ბევრ რამეს დაარეგულირებს და კარგია, რომ ახალ გუბერნატორებს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტი ექნებათ.

მისი თქმით, ახალ გუბერნატორებს შორის ბევრს არ იცნობს, მაგრამ ნუგზარ ყიფიანის შესახებ შეუძლია თქვას, რომ მცხეთა-მთიანეთელები, მისთვის ძალიან საყვარელი ადამიანები, იმედგაცრუებულნი არ დარჩებიან. მეტიც, ნუგზარ ყიფიანი დემოკრატი ადამიანია, დანარჩენებს კი მათი საქმიანობა გამოაჩენს.

„ნაციონალები ახლა რომ წუწუნებენ, გუბერნატორების უმეტესობა ძალოვანი სტრუქტურებიდან არიანო, რატომ ავიწყდებათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ზოგი საიდან მოვიდა, ზოგი - საიდან. თუმცა, სხვადასხვა სფეროდან მოსვლის მიუხედავად, ნაციონალებს სადისტებად ჩამოყალიბებაში ხელი არ შეშლიათ. ახლა ისინი პარლამენტშიც არიან და ადრე მთავრობაშიც იყვნენ, მაგრამ სადისტებად ჩამოყალიბდნენ. ამიტომ განმსაზღვრელი ის კი არ არის, ადამიანს სად უმუშავია, უბრალოდ, მთავარია, ვინ არის იგი და როგორი ოჯახიდან მოდის. გუბერნატორების საკითხებში ნამდვილად ვერკვევი და ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ჩვენ უნდა ვეცადოთ, თვითმმართველობის ისეთი კანონი მივიღოთ, რომ თავად თვითმმართველობა გახდეს ძლიერი და გუბერნატორი აღარ იყოს საჭირო. მანამდე კი, ამ გარდამავალ პერიოდში, რამდენიმე თვის განმავლობაში, გუბერნატორებმა ხელი უნდა შეუწყონ თვითმმართველობის განვითარებას. სწორედ ამას ვუსურვებ ამ გუბერნატორებს“, — აღნიშნა ვასილ მაღლაფერიძემ.

მანვე განმარტა, რომ ზემოდან დანიშნული გუბერნატორები მსოფლიოში, როგორც წესი, არ არიან. უფრო მეტიც, დანიშნული გუბერნატორი და თვითმმართველობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. უბრალოდ, გარდამავალ პერიოდში აღნიშნული ინსტიტუტის ამ სახით არსებობა საჭიროა.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ექსპერტი, ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი აცხადებს, რომ 2011 წელს მიღებული რეგიონული განვითარების სტრატეგიით, გუბერნატორი კოორდინაციას უწევს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავებას. სწორედ ეს არის მისი ძირითადი ფუნქცია. ამასთან, გუბერნატორი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობას სახელმწიფოს სახელით ახორციელებს და გუბერნატორობა ნიშნავს, რომ სახელმწიფომ თავისი რეგიონული პოლიტიკა თბილისიდან კი არ განახორციელოს, არამედ ადგილზევე.

მისივე თქმით, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, გუბერნატორს ისედაც აკრძალული აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევა. გუბერნატორს კი არა, არც ერთ ორგანოს არ შეუძლია, ამ საქმეებში ჩაერიოს, რადგან თვითმმართველობა თავისი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.

„ნაციონალების დროს გუბერნატორების ერთგვარი დემონიზაცია მოხდა და პარტიულ-პოლიტიკური ვითარების გამო, ისინი გადაიქცნენ ინსტიტუტად, რომლებიც ადგილებზე სიტუაციას პარტიული ხაზით მართავდნენ. ამდენად, პრობლემა კანონმდებლობაში კი არ იყო და დემონიზაციას საკანონმდებლო საფუძველი კი არ ჰქონდა, არამედ დემონიზაცია მმართველი პოლიტიკური სისტემის შტრიხი იყო“, — აღნიშნა For.ge-სთან საუბარში დავით ზარდიაშვილმა.

მანვე განმარტა, რომ დღეს ძნელი სათქმელია, რა დატვირთვის მქონე იქნება გუბერნატორი იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც ქვეყანაშია და რა პოლიტიკურ დატვირთვას მისცემს მას ახალი მთავრობა.

მარიამ ლოლაშვილი

ქეთევან კიკნაძე და მარიამ ლორთქიფანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

ჭაბუა ამირეჯიბის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

დაიკითხნენ თბილისის მერიის მაღალჩინოსნები

ძვემო ქართლის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურში თბილისის მერიის მაღალჩინოსნების - დავით ავალიანის, დავით ალავიძის, დიმიტრი ჩხაიძისა და ალექსი თაბუაშვილის დაკითხვის პროცესი 6 საათს გაგრძელდა. რუსთავში, ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზე ისინი ადვოკატებთან ერთად მივიდნენ.

ადვოკატების გიორგი კონდახიშვილისა და ელენე ლაზარიაშვილის განცხადებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფები უკვე მერამდენედ დაიბარეს დაკითხვაზე და ჩვენებების ჩამორთმევა კვლავ წინასაარჩევნო პერიოდში თბილისის განვითარების ფონდიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით მოხდა. ამჯერად გამოძიებამ კიდევ ერთხელ დააზუსტა მათი ჩვენებები.

თავად დაკითხვიდან გამოსულ დავით ავალიანს, დავით ალავიძეს, დიმიტრი ჩხაიძესა და ალექსი თაბუაშვილს კომენტარი არ გაუკეთებიათ. თბილისის მერის მოადგილის ირაკლი აბესაძის განცხადებით კი, მათი დაკითხვის მიზანი იყო ის, რომ ჩვენება მიეცათ თბილისის მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ, რაც არ მოხდა.

ავტომანქანაში ნარკოტიკი აღმოაჩინეს

გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ბათუმში“ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 64 აბი (4 ფლაკონი) ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი DAFALGAN CODEINE აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქონელი ნაპოვნია კონტეინერით გადმოზიდულ ავტომანქანაში, რომელიც ეკუთვნის საქართველოს მოქალაქე ლ.კ-ს.

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა შსს აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს.

ინტერპრესი

◎ ინფორმაცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვეობის მსურველების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს

პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვეობის მსურველთა განცხადებების მიღების ვადა, შესაძლოა, გაახანგრძლივოს.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ განაცხადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და რადგან საუბარი საზოგადოებრივ მაუწყებელზეა, საზოგადოება ყველაზე მეტად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესებში და ყველა პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს.

ამასთან, როგორც დეპუტატი განმარტავს, კანონის ჩარჩოში იყო ყველა ის ვადა თუ პირობა, რაც განაცხადების მიღებასთან თუ კომისიის შექმნასთან იყო დაკავშირებული.

— მაგრამ, როგორც ჩანს, საზოგადოებისთვის, ალბათ, მაინც არ იყო კარგად ინფორმაცია მიწოდებული, რადგან მეც მაქვს ასევე ამის განცდა, იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც უკმაყოფილოა. ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი დარჩა პროცესების მიღმა. ძალიან ცუდია, როდესაც ასეთი განწყობა ახლავე იქმნება და გარკვეული ეჭვის თემა იბადება, რომ პროცესი ნაჩქარევად და მიჩუმათებულად ჩატარდა, — აღნიშნა საგანელიძემ.

მისივე თქმით, ის პარლამენტში, უწინარესად კი პარლამენტის თავმჯდომარესთან აუცილებლად დასვამს საკითხს, რომ კანონსა და დადგენილებებში გამოიძებნოს გზა, რომ ვადა, თუნდაც ერთი კვირით მაინც, იყოს გახანგრძლივებული და საზოგადოების ინფორმირებულობისთვის მაქსიმალური გაკეთდეს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვეობის მსურველთა განცხადების მიღების ვადის გაგრძელებას საზოგადოების ნაწილი ითხოვს. მათი თქმით, პარლამენტმა და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ უზრუნველყვეს გამოცხადებული კონკურსის შესახებ საზოგადოებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რათა კონკურსში მონაწილეობის მიღების საშუალება ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონოდა.

პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვეთა კანდიდატების შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობა 11 დეკემბერს დაამტკიცა. კომისია მეურვეების კანდიდატთა წინასწარ, პირველად შერჩევას განახორციელებს და პარლამენტს 27 კანდიდატს შესთავაზებს. თითოეულ კანდიდატზე კი საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი მიიღებს. კონკურსში მონაწილეობისთვის მეურვეობის მსურველთა განცხადების მიღება კი 12 დეკემბერს დასრულდა.

დაიჯესტი

ორსაწოლიანი „სუვენირი“

„გასულ წლებში ტურისტები წვრილმანი სუვენირებით — საფერფლეებით, ხელსახოცებითა და სხვა ასეთი საგნებით კმაყოფილდებოდნენ, ახლა კი სასტუმროებიდან კედლის საათები, ხალიჩები, ტელევიზორები და ავეჯიც კი გააქვთ“, — აღნიშნული იყო გერმანიის სასტუმროების მფლობელთა კავშირის მიერ... 1985 წელს გავრცელებულ განცხადებაში, როცა მათთვის მიყენებულმა ზარალმა 50 მილიონ მარკას გადააჭარბა.

იმ წელს კრონენბერგის ერთ-ერთი სასტუმროდან ჩუმად გაიტანეს რვა ათასი მარკის ღირებულების ორსაწოლიანი საძილე გარნიტური, აგრეთვე ორი სავარძელი, მაგიდა, ტორშერი და ხალიჩა! იმ წელს ყველაზე „პოპულარული“ სუვენირები კი ტელევიზორები და პორტატული მაცივრები ყოფილან.

აღსანიშნავია, რომ სუვენირების „მოყვარულ“ ტურისტთა გემოვნება მას შემდეგ აგერ უკვე 25 წლის მანძილზე მაინცდამაინც დიდად არ შეცვლილა!

რუსეთი მეზობლებს „სიურპრიზს“ უმზადებს

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში ახალი მძლავრი სამხედრო შენაერთის — სწრაფი რეაგირების ძალების (სრძ) შექმნაზე გამალებულად მუშაობენ.

— ამ ტიპის სტრუქტურის შექმნა, რომლის ფუნქცია ქვეყნისა და მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოქმნილი ამოცანების გადაჭრა იქნება, დიდი ხანია დღის წესრიგში დგას, — აცხადებს პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე შარავინი. — სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში, როგორც ჩანს, შევლენ სამხედრო-სადესანტო ძალების, საზღვაო ფეხოსანთა,

მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები, აგრეთვე მოერიშე და საფრონტო ავიაცია. შესაძლოა, ის იყოს ცალკე, ფეხოსანთა და სამხედრო-საჰაერო ძალთა ტიპის სტრუქტურა, შესაძლოა სრძ-ს შემადგენელი ნაწილები თავიანთი შენაერთების შემადგენლობაში გამუდმებული სამხედრო მზადყოფნის რეჟიმში დარჩნენ.

მექსიკის საპატიმროებში

ORO ფარშევანგი და ექვსი ქალი, რომელიც სასჯელს მამაკაცთათვის განკუთვნილ ციხეში იხდიდა, გარდა ამისა, „სამსახურებრივი მოვალეობის“ შემსრულებელი 19 მეძავი, ასი პლაზმური ტელევიზორი და ცენტნერი მარიხუანა — აი, ასეთი მდიდარია მექსიკის პოლიციის მიერ აკაპულკოს საპატიმროში მოულოდნელად ჩატარებული ჩხრეკის დროს მოპოვებული ნადავლი.

— პატიმრებს ციხეებში თავიანთი კანონები და გადასახადები აქვთ დაწესებული, რომლებსაც ავტორიტეტები ზედამხედველობენ, — ასე დაახასიათა მექსიკის ციხეებში არსებული „ქურდული სისტემა“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა ლუგო კორტესმა.

მექსიკის მასმედიის ცნობით, მსგავსი „ნადავლი“ მოულოდნელი შემოწმების შედეგად პირველი არ არის. ზაფხულში პოლიციამ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან უამრავი მაცივარი, სი-დი-ფლეიერი, ნარკოტიკული ნივთიერებები და სხვა აკრძალული ნივთები ამოიღო.

ძილის „ულუფა“

არცთუ დიდი ხნის წინათ მიჩნეული იყო: საიმისოდ, რომ კაცს თავი კარგად ეგრძნო, ღამე დაახლოებით რვა საათი უნდა სძინებოდა. შემდგომ ეს ნორმა შვიდ საათამდე შემცირდა, ახლა კი მეცნიერებმა ეს „ლიმიტიც“ შეამცირეს...

სან-დიეგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა 14 წლის მანძილზე 50-დან 81 წლის ასაკობრივი ჯგუფის 450 მოხალისე გამოიკვლიეს — შეისწავლეს მათი ჩვევები და ძილის დროს გულსისხლძარღვთა იმპულსებს აფიქსირებდნენ.

— ექსპერიმენტის შედეგებმა ჩვენც კი გაგვაკვირვა, — გაოცებას ვერ მალავს კვლევების ხელმძღვანელი, საპატიო პროფესორი დენიელ კრიპკე. — აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც დღე-ღამეში ხუთი საათი სძინავს, ნაკლებად აწუხებთ გულის დაავადებები, ჰიპერტონია, უფრო დიდხანსაც ცოცხლობენ. ხუთ საათზე ხანგრძლივი ანდა, პირიქით, ხანმოკლე ძილი ჯანმრთელობისთვის მავნეა და სიცოცხლის ხანგრძლივობას მკვეთრად ცვლის, მას 65 წლამდე ამოკლებს.

გაზის „პრელუდი“

მსოფლიოში ერთ-ერთი უმძლავრესი ნავთობისა და გაზის კომპანია „როიალ დატჩ შელი“ პირველი იქნება, რომელიც გათხევადებული გაზის მწარმოებელ მცურავ ქარხანას ააშენებს.

„პრელუდის“ სახელწოდების საწარმოს ფართობი ოთხი ფეხბურთის მოედნის ზომისა იქნება, ხოლო მის ასაგებად 260 ათასი ტონა ფოლადი დაიხარჯება. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა სამხრეთ კორეის ქარხნებში დამზადდება. ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტის სავარაუდო ღირებულება 30 მილიარდი დოლარი იქნება.

უვიდი თვის სერფერი

თქმა არ უნდა, თავის დაჭერა და ზუსტი კოორდინაცია... შვიდი თვის ასაკის კენია ბრეტ-სანდჰაგენს ნამდვილად მოწოდების სიმაღლეზე აქვს!

პაწაწინამ, რომელმაც ჯერ სიარული არ იცის ხეირიანად, თავს ჩინებულად გრძნობს ვინდსერფინგზე! თქმა არ უნდა, რომ ქალიშვილის სპორტული მიღწევები თავად სპორტსმენზე მეტად მის დედიკოს უფრო ახარებს.

მონაკოს თავადების წყვილი: ჭორი და სიმართლე

მონაკოს თავადების წყვილის, ალბერ გრიმალდისა და მისი მეუღლის შარლინის აზრით, მათ სახელებთან დაკავშირებული უამრავი ჭორი შურითაა გამოწვეული.

„ევროპის მთავარი დონჟუანის“, თავად გრიმალდის პომპეზური ქორწილიდან ნახევარ წელზე მეტი გავიდა. მილიონობით ტელემაყურებელმა თავისი თვალით ნახა, თუ როგორ ტიროდა საკურთხევლთან პატარძალი და, როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, ამის მიზეზი ბედნიერება ნამდვილად არ ყოფილა. ისინი ამტკიცებენ, რომ სამხრეთ-აფრიკელმა მოცურავემ ქორწილამდე ორჯერ სცადა გაქცევა და ორივეჯერ იგი „თვითმფრინავიდან ჩამოსვეს“, თაფლობისთვე კი ახალშეუღლებულმა წყვილმა სულაც სხვადასხვა სასტუმროში გაატარა.

ახლა კი, გრიმალდების წყვილმა, რომელიც ხალხში ერთად საკმაოდ იშვიათად ჩნდება, ჟურნალისტებთან გულახდილი საუბარი გადაწყვიტა. მასმედიის წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ კვლავინდებურად ელეგანტური შარლინი ახლა მეუღლეს ალერსიანი ღიმილით და არა თვალებაცრემლებული უყურებდა, როგორც ეს ქორწინების დღეებში იყო. თავად ალბერიც გაუთავებლად ხუმრობდა და იმანჭებოდა.

ჟურნალისტის პირდაპირ, მოურიდებელ შეკითხვაზე, მართლა აპირებდა თუ არა შარლინი ქორწინებიდან გაქცევას, შარლინმა თავი გაიქნია.

— ეს სიმართლეს არ შეესაბამება. განა ასე გავირჯებოდით და ამდენ ხალხს დავპატიჟებდით, შეუღლება რომ არ გვდომოდა? ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, —განუცხადა მან გამოცემა „თუდეის“ ჟურნალისტს. მისი თქმით, მაღალ საზოგადოებასთან დაკავშირებული ყველა ამბავი, რაოდენ არასარწმუნოც უნდა იყოს, ობივატელებისთვის აპრიორი საინტერესო და მიმზიდველია.

— ბევრს, ალბათ, შურს კიდეც ჩვენი, რომ ყველაფერი კარგად გვაქვს. — მხარი აუბა ცოლს თავადმა ალბერმა. — ზოგმა ისიც კი თქვა, თითქოს ცოლს ზედ არ ვუყურებ, მაგრამ ეს ხომ მტკნარი წყლის სიცრუეა!

თუმცა, მისივე თქმით, მის ცხოვრებაში მთავარი ქალი მაინც დედაა. აღნიშნავენ, რომ მისი მეუღლე რაღაცით ჰგავს კიდეც ჰოლივუდელ ვარსკვლავ გრეის კელის.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ყაჩაღური ვეხვეჭილი

კოალიციაში დიდი ღალატი გრძელდება?

საძმე ეხება თვითმმართველობის პროექტს, რომლის განხილვაც საქართველოს პარლამენტში უკვე მიმდინარეობს. როგორც „ალიას“ კოალიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი უყვება, ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი მელაშვილს დაუტოვა სულ სხვა პროექტი, მაგრამ გავიდა დრო და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას კაბინეტიდან გამოვიდა სულ სხვა პროექტი. ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ნარმანიას კაბინეტში ხშირად იკეტებოდნენ შერგელაშვილი, მელაშვილი და „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლები. სწორედ მათ გამოშიგნეს, სწორედ მათ ჩაამატეს კოდექსში ის პროექტები, რაც შემდგომ საზოგადოების აღშფოთების საგანი გახდა და რამაც მისი უწმინდესობა იძულებული გახადა განცხადება გაეკეთებინა.

„ალია“

„ხელისუფლება დევნილებს „ბომჟებთან“ გააიგივებს“

— თვლის პარტიათა მოძრაობის ლიდერი მამუკა გვაძაბია, — პრობლემის პერსონიფიცირება არ მინდა, მაგრამ როგორ არა ვთქვა: გამოვიარე საბჭოთა რეპრესიები, ეროვნული მოძრაობა მთელი სიგრძე-სიგანით, შემდეგ აფხაზეთის ომი, რუსეთიდან გამოძევება (საბუთებში „ბომჟი“ ჩამიწერეს) და აი, 10 წლის თავზე მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე უარს მეუბნებიან. ხდება ის, რომ 2013 წელს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მე, საქართველოს მოქალაქეს, დევნილს აფხაზეთიდან არ მაძლევენ საშუალებას, რეგისტრაცია გავიარო საცხოვრებლის მიხედვით.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

არაჩვ საუკეთესო კოსმეტოლოგია: თავადაც კარგად შეინიღბები და მეგობარი ქალიც საამო სახილველია.

* * *

— გამარჯობა, პეტკა! როგორა ხარ?

— აბა, რა გითხრა, გამიჩნდა საყვარელი ღვთიური ქმნილება, რომლისთვისაც უნდა იზრუნო, რომლის გამოც უნდა ინერვიულო, გამოიმუშაო მისთვის ფული...

— როგორც იქნა! გილოცავ! რა ჰქვია?

— „მერსედესი“.

* * *

თუ ქალთან პრობლემა არ გაქვთ, ყურადღებით დააკვირდით. იქნებ იგი, მკვდარია, ან, იქნებ, სულაც არ არის ქალი?

* * *

გინდა, რომ უკეთ გაიცნო მამაკაცი? — დაათვრე იგი.

გინდა, რომ უკეთ გაიცნო ქალი? — გააბრაზე იგი.

* * *

სანამ ნიჩბების გამოყენებას ვერ ისწავლით, ნავის გამოცვლას აზრი არა აქვს.

* * *

ზამთრის ქურთუკში 100 ლარი ვიპოვე! რაც არ უნდა თქვათ, კარგია საგარდეროობოში მუშაობა.

* * *

თუ გოგო ამბობს, იმნაირი არა ვარო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი სწორედ იმნაირია, ოღონდ ცოტა მოგვიანებით...

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24